დაქცია
, რუსთაველის პროსპექტი
24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49

ში საქმისათვის მოლაპარაკება
იძლება ყოველდღე
ქმეებისა 10—11 საათ.
ნები (რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ—65 კ., დანარჩენებისათვის ქალაქში—85 კ., ქალაქს გარეშე—95 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“.
განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო 5 მან. დოკუმენტების დაკარგვა—50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43

დღიური

— მოელიან ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრის იუზის გადადგომას.

— საფრანგეთის კომპარტიამ მელლოს ნავთსადგურში მოაწყო დიდი მანიფესტაცია.

— სამხრეთ-სლავიაში მქვინვარებს სასტიკი რეაქცია; სდევნიან რადიჩის გლეხთა პარტიის მომხრეებს.

— საბჭოთა რუსეთში დაიჭირა ძლიერი ყინვებმა; ზოგიერთ ადგილებში ამოვარდა ქარბუქი.

— ავსტრიაში გრძელდება რკინის-გზელთა გაფიცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 258 (1113)

ქტომბრის დღესასწაული უცხოეთში

ნოემბერი დიდი ზეიმით იქნა ჩატარებული ჩინეთში

ვიმედოვნებთ, რომ საბჭოთა მთავრობა გაგვიწევს დახმარებას თავისი რჩევით“.—სპარსეთის ყველა ებში გაიმართა საზეიმო მიტინგები.—კანადაში საბჭოთა მისიამ იდღესასწაულა ოქტომბრის რევოლუციის 7 წლის თავი.—ლატვიაში ჩვენს წარმომადგენელს დღესასწაული მიულოცეს უცხოეთის წარმომადგენლებმა.

ჩინეთში

ი. ოქტომბრის რევოლიუ- შვიდი წლის თავზე დიდი იმართა საბჭოთა კავშირის ი პეკინში. უცხოეთის სა- ების ელჩებმა მიულოცეს საბჭოთა ხელისუფლების 7 წლის თავი. პარლა- წევრები, პროფესორები, საზოგადოებრივ ორგა- წარმომადგენლები, სტუ- უცხოეთის კოლონიე- დაესწრნენ ოფიციალურ საბჭოთა კავშირის სრულ- წარმომადგენლობაში.

არბაზნმა გამართა დიდი მელსაც დაესწრო ჩინე- ის მთელი შემადგენლო- მინისტრის მეთაურობით. ფინ-იუი-სიანმა თავის ლათ გამოგზავნა გენე- ი, რომელიც დიდ როლს ფინ-იუ-სიანის მიერ მო- პატრიალებაში. ბანკეტს ელ რიგ საზოგადო და ი მოღვაწენი.

თავის სიტყვაში განაც- თი ამ ჟამად ძალიან მძი- ეობაში იმყოფება. მღვო- სიქმნელე ორკეცდება უც- ინტრიგებით. საბჭოთა მაგალითი დაუმტკიცებს ხალხს, რომ ძლიერი თ და ბრძოლით შეიძ- მარჯვების მიღწევა. სა- თა ჩინეთის ახალ ნაციო- ოვრების აღმშენებლობაში ქნეს მთელი ხალხი, და ცალკე ლიდერები.“ ხანი შეხო უცხოეთის ებთან დადებულ ხელ- თა გადასინჯვის შესახებ აცხადა: „საბჭოთა კავშირსა და შორის ამ წინათ დადებულ ხელშეკრულების პრინციპები უნდა დაედოს საფუძვლად ჩინეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკას. შინაურ და გარეშე მტრებთან გაბედულ ბრძოლის დროს საბჭოთა კავშირის ხალხი მხარს დაუჭერს ჩინეთის ხალხს“.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა პრემიერმა ვანმა, რომელმაც განაცხადა: „ჩინეთის რევოლიუციის შემდეგ განვლო 30 წელმა, მაგრამ რევოლიუციონური იდეალები ჯერ კიდევ მიღწეული არ არის. ამავე დროს საბჭოთა კავშირმა მიაღწია დიდ გამარჯვებას საბჭოთა მთავრობის ენერგიული და გამბედავი მოქმედების წყალობით. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საბჭოთა მთავრობა გაგვიწევს დახმარებას თავისი რჩევით“.

ლატვია.

რიგა, 10 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავზე საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი არალოვი ინახულეს და მიულოცეს დღესასწაული მთავრობის, სეიმის, დიპლომატიურ კორპუსის წევრებმა და აგრეთვე პროფმოძრაობის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებმა; დარბაზობის შემდეგ საელჩოს შენობაში გაიმართა კონცერტი.

რიგა, 10 ნოემბერი. ლატვიის კომპარტიამ გაავრცელა მოწოდებები რუსულ და ლატიშურ ენაზე, ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავის აღსანიშნავად. ბევრ სახლებზე გამოკიდებულია წითელი დროშები.

დაპატიმრებულია 12 კაცი, რომელთაც ბრალად ედებათ არალეგალურ ლიტერატურის შენახვა და გავრცელება.

მექსიკა

ლონდონი. 11 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავი მექსიკაში დიდის ზეიმით იქნა აღნიშნული. საბჭოთა კავშირის ელჩის პესტოვსკის საპატივსაცემოდ მექსიკის კომუნისტებმა გამართეს მიტინგი, რომელსაც დაესწრო 4000 კაცი. სხდომის დარბაზი სავსე იყო ინტელიგენციით და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებით. ზეიმს დაესწრნენ მექსიკის მინისტრებიც. დიდი სიტყვით გამოვიდა პესტოვსკი, რომელსაც ხანგრძლივი ოვაციები გაუმართეს.



ამხ. პესტოვსკი.

ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენელი მექსიკაში.

სკანდინავიაში

სტოკჰოლმი. 10 ნოემ. სკანდინავიის კომუნისტური პრესა, ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავის აღსანიშნავად გამოშვებულ ნომრებში ათავსებს კალინინის, ჩიჩერინის და სხვ. წერილებს, სკანდინავიის სხვადასხვა ადგილებში გაიმართა საზეიმო მანიფესტაციები.

კანადაში

ნიუ-იორკი. 10 ნოემ. საბჭოთა მისიამ მონრეალში იდღესასწაულა ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავი. მისიის შენობა მორთული იყო წითელი დროშებით, ყვავილებით და ვარსკვლავებით. მიღებულია მისალმებანი ყველა ეროვნების მუშებისაგან. საღამოს გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 10.000-დე მუშა, სიტყვები წარმოთქმული იყო 7 ენაზე.

სპარსეთში.

თეირანი. 10 ნოემბ. ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავის გამო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის შენობაში გაიმართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ სპარსეთის მთავრობის, დიპლომატიური კორპუსის წევრები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი. სადარბაზოთ მოვიდენ ყველა იმ სახელმწიფოების წარმომადგენლები, რომელთაც იცნეს საბჭოთა კავშირი: მათ შორის საფრანგეთის ელჩი, რომელმაც პირველად ინახულა საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებული აპრესოვი.

თეირანი. 10 ნოემბ. სრულუფლებიან წარმომადგენლების ბაღში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავის აღსანიშნავად.

სპარსეთის ყველა ქალაქებიდან იუწყებიან, რომ ყველგან გაიმართა საზეიმო მიტინგები და წვეულებანი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სპარსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, საბჭოთა მოქალაქეებმა და საბჭოთა კავშირის მეგობარმა—სპარსელებმა.

ჩვენ და უცხოეთი

შენობა ანგორაში.—ჩვენი საკონსულო მონღოლეთში.— მხ. ვოიკოვი საფრანგეთის ელჩთან პოლონეთში

ოსმალეთი

10 ნოემბ. 7 ნოემბერს ბჭოთა კავშირის სრულ- ი წარმომადგენლობის შე- ირკვლის ჩაყრა. დაეს- -ფაშის წარმომადგენელი, ს წევრები სრული შემად- ი, მთელი დიპლომატიური და მრავალი დეპუტატები. კავშირის ელჩის ოფიციალ- ეულებაზე მონაწილეობა მიი- იო დაახლოვებით 150 სტუმარმა, მათ შორის მთელმა დიპლომატიურმა კორპუსმა მთავრობის, მეჯლისის, სავაჭრო წრეების და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

პოლონეთი

ვარშავა. 10 ნოემბ. საბჭოთა კავშირის ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვოიკოვი ეწვია საფრანგეთის ელჩს პაფის, რომელიც ერთობით ითვლება დიპლომატიური კორპუსის მეთაურად ვარშავაში.

მონღოლეთში

ურგა. 10 ნოემბ. 7 ნოემბერს კალკანში საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა კავშირის საკონსულო.

გერმანიაში

ბერლინი, 11 ნოემბერი. მოსკოვში მომავალ კვირას დაიწყება მოლაპარაკება რუსეთსა და გერმანიას შორის ეკონომიური ხელშეკრულების დადების შესახებ. გერმანიის დელეგაციას მეთაურობს ფონ-კორნერი, რუსეთის დელეგაციას—განეცკი.

პოლონეთში

ვარშავა, 10 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ახალმა წარმომადგენელმა ვარშავაში ვოიკოვმა გადასცა პოლონეთის პრეზიდენტს თავისი რწმუნების სიგელი.

საფრანგეთში

პარიზი. 10 ნოემბერი. დე-მონზის მიერ რაკოვსკის საპატივსაცემლოდ გამართულმა ბანკეტმა ერთგვარი მითქმა მოთქმა გამოიწვია პარიზის პრესაში. მემარცხენე ბლოკის ორგანოს „კოტიდიენ“-ის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელიც მიპატიჟებული არ იყო, მაგრამ მაინც დაესწრო ბანკეტს, მეტად მოურიდებელი ანგარიში დაბეჭდა. დე-მონზი წერილში რედაქციის მიმართ პროტესტს აცხადებს ამ ანგარიშის წინააღმდეგ და ამბობს, რომ ანგარიში გამოქვეყნებულია არა თუ მისი თანხმობის გარეშე, არამედ მის დაუკითხავადაც.

ჩინეთიდან გააძევეს ყოფ. მეფე

სასახლიდ [illegible]ფართქეს.—მონარქისტულ შეთქმულების აღმოჩენა. შეთქმულ[illegible] „[illegible]“ არიან

პეკინი. 10 ნოემბ. ფინ-იუი-სიანის ჯარებმა უეცრად ალყა შემოარტყეს იმპერატორის სასახლეს, რომელშიც სცხოვრობდა ყოფილი იმპერატორი იუნგი. გარნიზონის უფროსმა და მილიციის უფროსმა წინადადება მისცეს ყოფილ იმპერატორს დაუყოვნებლივ დაეტოვებია სასახლე. ყოფილი იმპერატორი გაემგზავრა თავისი მამის—პრინც ჩუნის, ყოფილი რეგენტის სახლში, ჯარისკაცების თანხლებით.

ამავე დროს გაუქმებული იქნა შეთანხმება საიმპერატორო გვარეულობასთან. ახალი შეთანხმების ძალით ყოფილ იმპერატორს ერთმევა იმპერატორის ტიტული, უფლება არ აქვს გამოსცეს დეკრეტები, მას ერთმევა აგრეთვე ამალის ყოლის უფლება. მისი შესანახი ხარჯები 4 მილ. დოლარიდან შემცირებულია [illegible] ლარამდე წელიწადში. საიმპერატორო გვარდია, რომელიც მანჯურელ ჯარისკაცებიდან შესდგება დაშლილია. ჯარისკაცები მიღებული უნდა იქნენ ახლად გახსნილ ფაბრიკებში.

ეს ზომები გამოიწვია მონარქიული შეთქმულების აღმოჩენამ; შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდენ უ-პეი-ფუ, ვან-ტუან-ჩინი და სხვა გამოჩენილი გენერლები—უ-პეი-ფუს მომხრეები.

ინგლისის, ჰოლანდიის და იაპონიის წარმომადგენლები დაუყოვნებლივ ეწვიენ გარეშე საქმეთა სამინისტროს; მათ მოითხოვეს განმარტება იმპერატორისადმი ასეთი მოქცევის გამო. ასეთმა ჩარევამ აღაშფოთა საზოგადოებრივი აზრი.

ფაშისტების წინააღმდეგ

განოვერი, 10 ნოემბ. რომიდან მიღებული ცნობით, ვარინიმ დუელში გამოიწვია გარიბალდი იმიტომ, რომ უკანასკნელმა გამოაქვეყნა მოწოდება ფაშისტების და მუსოლინის წინააღმდეგ; მოწოდება შედგენილი იყო მკაცრ ფორმებში.

ის, გაელენა მოახდინოს ერთიოზე, ით მან წამოუყენოს ჩვენს მთავრობას მიუღებელი პრეტენზიები და პი- ობები.

ჯების სასწორს უფრო მძლავრად გადახრის ჩვენსა და მსოფლიო მუშათა კლასის მხარეზე.

აღალდის ქარხანა საქართველოში*)

საქართველოში ქაღალდის ქარხნის არსების საკითხი იმდენად კულტურული, მომგებიანი და მიზანშეწონილია, რომ, თუ ფულის შოვნა საძლებელია, ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია ერთხელ კიდევ ოვაყენო ეს საკითხი და ვეცადო სი გაშუქება შეძლებისამებრ.

მგონია, ზედმეტია ლაპარაკი შეხებ იმისა, თუ რა მნიშვნელობა ქვს ქაღალდს. ამა თუ იმ ერის კულტურის სიმაღლის საზომათ მიღებულია სხვათა შორის ხმარებულ ქაღალდის რაოდენობა. რამდენ ქაღალდსაც ხმარობ, იმდენად კულტუროსანი ხარ, და ამ მხრივ, სამწუხაროდ, სატრაბახო არა გვაქვს რა მაშინ, როდესაც ინგლისელი წლიურად ხმარობს 70 გირვ. ქაღალდს, ამერიკელი 62 გირვ. ქაღალდს, გერმანელი 48 გირვ. ქაღალდი ფრანგი 44 გირვ. ქაღალდს, იმავე დროს ჩვენ გვყოფნის ხუთ გირვანქა ნახევარი ქაღალდი.

ამ მდგომარეობას თავის დაღწევა უნდა და რაც ადრე, მით უკეთესი, თორემ მშვენიერი ზრახვანი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, თანამედროვე საზოგადოების გარდაქმნის შესახებ და სხვა მრავალნი დარჩებიან მხოლოდ და მხოლოდ ლამაზ სურვილებად.

მაგრამ არის კი ნიადაგი ქაღალდის ქარხნისათვის საქართველოში?

არც ერთ წარმოებას არა აქვს ისეთი ფართო ასპარეზი და მომავალი საქართველოში, როგორც ქაღალდის წარმოების საქმეს.

რა არის საჭირო ქარხნისათვის?

ტყე და წყალი.

ერთიცა და მეორეც ჩვენ უამრავი მოგვეპოვება.

საქართველო მსოფლიოში ითვლება წყლით და ტყით ერთ-ერთ უუმდიდრეს მხარედ,

მართლაც, წყალი ჩვენ მოგვეპოვება 6.069.967 ცხენის ძალისა, ხოლო ტყეს ჩვენში უკავია 2.162.961 დესეტინა, ესე იგი, მთელი ტერიტორიის 32 პროც. მაშინ, როდესაც ტყითაა შემოსილი საფრანგეთის მხოლოდ 18 პროც., იტალიის 14 პროც. ამ მხრივ ჩვენ ვუახლოვდებით ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც ტყითაა შემოსილი 36,5 პროცენტი მხარისა.

მაგრამ შეიძლება ჩვენ ტყით რაციონალურად ვსარგებლობთ და არა ღირს მისი ქაღალდისათვის დაბანდება?

ნეტავ ასე იყოს!

მაგრამ დავუგდოთ ყური პროფ. ს. ქურდიანის გოდებას:

„ტყის ნიადაგს ხშირად საძოვრად სწმენდავენ, ამ შემთხვევაში ხი-

(იხ. **инж. Фаст „Технология бумаги“ Москва 1923 г.** გვ. **XVIII**).

ეს ცნობები ეხება 1908 წელს. მაგრამ შეიძლება მას შემდეგ ჩვენი მდგომარეობა გაუმჯობესდა? მივმართოთ იმავე ავტორს.

მთელ რუსეთში ქაღალდისა და კარტონის წარმოება გამოიხატა:

1918 წ.	4,650,000 ფუთში
1919 წ.	2,638,000 „
1920 წ.	2,275,000 „
1920 წ.	2,050,000 „

(იხ. გვ. 20.)

რუსეთის ქაღალდის წარმოება ეცემა. მოთხოვნილება იზრდება. მაშასადამე ქაღალდის წარმოების დაწყება თანადროული და უაღრესად მიზანშეწონილია. **ბაზარი უზრუნველყოფილია.**

შეიძლება რუსეთს ჰყოფნის საკუთარი წარმოების ქაღალდი და იქ ჩვენ ქაღალდს გასავალი არ ექნება.

დავიჯეროთ ერთი წუთით. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი ძმური რესპუბლიკებიც უზრუნველყოფილი არიან ქაღალდით. ამ შემთხვევაშიაც ქაღალდის ქარხნის დაარსება ნაკარნახევია ცხოვრების მიერ, ვინაიდან **ქაღალდის კრიზისს მსოფლიო მასშტაბით აქვს ადგილი.**

„საფრანგეთის მარტო პრესსას სჭირია წლიურად 10,000,000 ფუთამდე ქაღალდი. ადგილობრივ ქარხნებს კი შეუძლიანთ მიაწოდოს მას 4,5 მილიონი ფუთი; დანარჩენი 5,5 მილიონი ფუთს ჰყიდულობს უცხოეთში“ (იხ. Annuaire général de la France et l'étranger, 1919 წ. წერილი „Le Papier“, გვ. 592).

დეს. ტყე. აქვ:

ქუთ. მაზრა	116.950	დეს.
რაჭის	70.585	„
ლეჩხუმის	218.437	„
შორაპნის	74.900	„
ოზურგეთის	87.800	„
სენაკის	51.230	„
ზუგდიდის	52.200	„
	672.102	„

და რადგან ნარი რიონის აუ- რავს ტყით უხვად მდიდარი მაზრები: რაჭა-ლეჩხუმი, ქუთაისი და ქარხნისათვის სალის მიწოდება მდ. რიონის ხობით გაიაფდება ფაბრიკაზე, ნია, საუკეთესო ადგილად უნდა ჩნეულ იქნეს რკ. გზის სადგური ნი. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ც იქ უნდა მოეწყოს ქარხანა, გან ამით ერთხელ და სამუდამოდ გადიჭრება ქუთაისისათვის რკ. გზის მაგისტრალის საკითხი.

ამ შემთხვევაში თაისი ბუნებრივად გაიზრდება ურ რიონის მიმართულებით (ტყიბულის ლიანდაგის გაყვანით), საქართველოს რკინის გზის ხაზი დაიკავებს პირველ ადგილთაგანს, რადგან ყოველწლიურად გატანილება 15 მილ. მანეთის საქონელი დატვირთ, ერთხელ და სამუდამოდ ობა საკითხი მაგისტრალისა. „ქარი“ ქალაქი ქუთაისი—გადაიქცევა ბრწყინვალე ბაღ-ქალაქად, ხოლო საქართველოს ეკონომიურად აღინებას ამით ძლიერად შეუწყობს.

ხიდველდიანი.

---

*) მიუხედავად იმისა, რომ ავტორის მიერ მოყვანილ ციფრებისა და ზოგი მოსაზრებების შესახებ შეგვიძლია სხვადასხვა შეხედულება ვიქონიოთ,—თვით საკითხის დაყენებას ჩვენ ვაკუთვნებთ დიდ მნიშვნელობას და ვაქცევთ იმაზე სათანადო ორგანოების და ამხანაგების ყურადღებას.

რედ.

მიწათ-მოწყობისათვის *)

II

წათმოწყობის იურიდიული ნაწილის მეორე საკითხი შეიცავს საადგილ-მამულო დავების განხილვას და დაწყვეტას. ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა უფრო იმედიანია, რადგან ველ ასეთ დავას კერძო პირთა შორის არჩევს სახალხო სასამართლო, ხოლო იმ საადგილმამულო დავას, რომელიც აღიძრება მიწათმოწყობის პროცესში, სოფელსა და სოფელს შორის არჩევს სამაზრო საადგილმამულო კოლეგია და მიწათმოქმედების კომისარიატის საბჭო. ვიმეორებთ ირჩევა მხოლოთ მიწათმოწყობის პროცესებში ამტყდარი დავები საჩივრები მიწათმოწყობის ორგანოების მოქმედებაზე. ეს წესი და დარჩეს მიწათმოწყობის გათავებამდე, რის შემდეგადაც მიწაზე ვა საერთო სასამართლოს მოქმედების სფეროში.

მიწათმოწყობის თვალსაჩინო დარგს შეადგენს საძოვრების საკითხის მოწყობა. საჭიროა საზაფხულო და საზამთრო საძოვრების აგეგმვა, ნაკვეთების დაწერა, ამ ნაკვეთების საიჯაროთ გადაცემა მესაქონლეებზე საქონლის რაოდენობის მიხედვით და იჯარის აკრეფვა. გარდა ამისა არის ისეთი საძოვრები, რომლებიც იჯარით არ იცემიან. ასეთები ეძლევა კანონიერ ნორმაში იქვე მცხოვრებ გლეხებს, რომელთა მეურნეობა მარტო მესაქონლეობით განისაზღვრება.

მიწისმზომელთა სიმცირე აქაც ძალიან აფერხებს საქმეს. მაგალითად განზრახული იყო სანახირე გზის გაყვანა შირაქის ველებიდან თუშეთისა და ჯავახეთისაკენ. ამ გზებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მესაქონლეობისათვის, უნდა გაევლო მთელ რიგ სოფლებზე და უზრუნველეყო მესაქონლეები თავისუფლად მიერეკათ საქონელი საძოვრებზე. მაგრამ მიწისმზომლების სიმცირის გამო არ მოხერხდა ამ გზების მოწყობა, რაც ძალიან აფერხებს ჩვენს მესაქონლეობას.

საძოვრების წმინდა ფონდი უდრის ჩვენში: საზაფხულო 400.000 და საზამთრო 200.000 დესეტინას, ხოლო ე. წ. დასახლებული საძოვრების რაოდენობა შეადგენს 100.000 დესეტინას. საძოვრების ფონდიდან მოწყობილია დღემდე ერთი მეხუთედი ნაწილი, ხოლო დასახლებულ საძოვრებზე ჯერ მუშაობა არც დაწყებულა.

მიწათმოწყობასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული სახალშენო საქმეც, მაგრამ ამ დარგში მიწის თავისუფალი ფონდის უქონლობის გამო ჯერ თითქმის არაფერი გაკეთებულა, რადგან არ შეიძლება ჩაითვალოს საქმეთ ის, რომ თითო-ოროლა გაჭირვებულ უმიწაწყლო სოფელს ჩაასახლებ სადმე თავისუფალ ნაკვეთზე და ისიც მისივე ხარჯზე, რადგანაც არავითარი თანხა გადასახლების მსურველთა დასახმარებლად არ არსებობს; ვეხმარებით მათ მხოლოდ უფასოდ მოსაჭრელი ტყის მასალით. ამის მიზეზი ზევით უკვე ვსთქვით, ესაა მიწის სივიწროვე და გადასახლების მსურველთა უკიდურესი სიღატაკე. ასეთი ღარიბი მოახალშენე დაუხმარებლად ვერ ახერხებს ვერც ადგილიდან დაძვრას და ვერც მით უმეტეს მოწყობას ახალ ადგილზე. ორი მთავარი საკითხია აქ გადასაწყვეტი: მიწის ფონდის შექმნა და საგადასახლებო თანხის გამონახვა.

მთელი ხარჯი მიწათმოწყობაზე დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა მიმდინარე წლის 1-ლ იანვრამდე უდრის 162.000 მან. ასე რომ სოფლის მცხოვრებლებზე, სულზე მოდის წლიურად 3 კაპეიკი ან ოჯახზე—3 შაური, ხოლო დესეტინაზე საერთოდ მოდის 9 კაპეიკი. საჭიროება და სურვილი მიწის მოწყობისა იმდენად დიდია სოფლის მცხოვრებთა შორის, რომ მის ხარჯს, ათჯერაც გადიდებულს, სოფელი შეუწუხებლად აიტანდა. რუსეთში მიწათმოწყობა თითო დესეტინისა ჯდება 1 მანეთიდან 3 მანეთამდე სოფლელთა ხარჯზე.

ამჟამად საჭიროდ მიგვაჩნია პრინციპიალურად ცნობა და მიღება შემდეგ დებულებათა:

1) აღიარებულ იქნას მიწათმოწყობა სოფლის მეურნეზე სათანადოთ შემომჯნილ მიწის საკმაო რაოდენობის გადაცემის წესით.

2) კატეგორიულად უარყოფილ იქნას მიწათმოწყობის საქმეში რომელიმე სხვა ორგანოს ჩარევა, გარდა მიწათმოქ. კომისარიატისა, და მოშაობს წარმოიბდეს საქართველოს მიწის კოდექსის საფუძველზე მისი სასტიკათ დაცვით.

3) ოთხჯერ გადიდებულ იქნას არსებული შტატი მიწის მოწყობის დარგში სრულად მომუშავე მიწისმზომელთა.

4) მიზანშეწონილად იქნას ცნობილი მიწათმოწყობის ხარჯების გადატანა ნაწილობრივ სოფლის შეძლებულ მოსახლეებზე და მოეთხოვოს მიწათ მოქ. სახ. კომისარიატს წარუდგინოს ცაკს ამ საქმის ორგანიზაციის პროექტი დასამტკიცებლად.

ი. ჟვანია.

---

*) ავტორის მიერ ამ წერილში წამოყენებული ზოგი პრაქტიკული წინადადება ჩვენ მიგვაჩნია საკამათოდ.

რედ.

უკანასკნელი ცნობები.

ლონდონში შიშობენ

ლონდონი 11 ნოემბ. გავლენიანი ყოველკვირეული ეკონომიური ჟურნალი ეხება ინგლისის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს და სწერს: „ბალდვინის მთავრობამ უნდა უარყოს ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან, მაგრამ უნდა დასდოს ახალი ხელშეკრულება“ ამ წერილის კილოდან ნათლათ სჩანს, რომ სიტი (ფინანსიური უბანი ლონდონში) შეაფერხებს საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას. ლონდონში ამბობენ, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირს შორის დადებული იქნება სავაჭრო ხელშეკრულება.

ბელგიამ უნდა იცნოს საბჭოთა კავშირი

პარიზი, 11 ნოემბ. ბელგიელ სოციალისტების მემარცხენე ფრთის ორგანოს „ლიუტ-დე-კლასს“-ის უკანასკნელი ნომერი მიძღვნილია ოქტომბრის რევოლიუციისადმი. რამოდენიმე წერილი მიძღვნილია ლენინისადმი. გაზეთი მოითხოვს ბელგიის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას.

მემარცხენეების მეორე ორგანო „დრაპორუჟ“-იც ესალმება ოქტომბრის რევოლიუციას.

ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავი პარიზში.

პარიზი. 11 ნოემბერი. კვირას პარიზში გაიმართა დიდი მიტინგი ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავის აღსანიშნავად. მიტინგს დაესწრო 20000 კაცი.

საფრანგეთის კომკავშირის ლიდერმა დორიომ დაახასიათა სოციალ-შეთანხმებლების მოღალატური პოლიტიკა.

კომუნისტმა დეპუტატმა ტრენმა აღწერა საბჭოთა კავშირის ეკონომიური აღორძინება. მისი სიტყვა მხურვალე ტაშით დაფარეს.

შემდეგ ილაპარაკეს ფაჟან-კუტურიემ და კაშენმა. მიტინგის დაშლის შემდეგ, მისი მონაწილეები ინტერნაციონალის სიმღერით გაემართენ პარიზის ქუჩებზე.

„ლ'იუმანიტე“-ს უკანასკნელი ნომერი თითქმის მთლიანად მიძღვნილია ოქტომბრის რევოლიუციისადმი.

სამხრეთ-სლავიის პარლამენტის გაშვება

ვენა. 11 ნოემბ. სამხრეთ-სლავიის მეფემ ხელი მოაწერა დეკრეტს პარლამენტის გაშვების შესახებ.

რკინისგზელთა საყოველთაო გაფიცვა ავსტრიაში.

ვენა. 11 ნოემბ. რკინისგზელთა საყოველთაო გაფიცვა ავსტრიაში გრძელდება. დადიან მხოლოდ მატარებლები, რომლებსაც სურსათი გადააქვთ.

გერმანიის რკინისგზელები გაფიცვისათვის ემზადებიან.

ბერლინი. 11 ნოემბ. გერმანიის რკინისგზელების ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ ახლო ხანში დათხოვნილი იქნება 24,000 რკინისგზელი. ადმინისტრაციის შეურიგებელმა პოზიციამ დიდი მღელვარება გამოიწვია რკინისგზელებში. ავსტრიელ რკინისგზელების გაფიცვა აძლიერებს რევოლიუციონურ განწყობილებას გერმანელ რკინისგზელებში. რკინისგზელები მოითხოვენ ენერგიულ ბრძოლას მათი [illegible] მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ.

რეაქცია სამხრეთ-სლავიაში

მოსკოვი, 10 ნოემბ. „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს კიმინტერნის აღმასკომის წევრი ბოშკოვიჩი შეეხო სამხრეთ-სლავიაში პაშიჩის რეაქციონური მთავრობის შედგენას და განაცხადა: „პაშიჩის მთავრობა ატარებდა სერბიის ბურჟუაზიის ჰეგემონიის პოლიტიკას, თუმცაღა სერბიელები სამხრეთ-სლავიაში შეადგენენ მთელი მოსახლეობის მხოლოდ 39 პროცენტს. პაშიჩის მთავრობა მიმართავდა მმართველობაში ფაშისტურ მეთოდებს. პაშიჩის ფაშისტურმა პოლიტიკამ მარცხნით გადახარა ხორვატთა გლეხური რესპუბლიკანური პარტია რომლის ლიდერი არის სტეფან რადიჩი და გამოიწვია რადიჩის პარტიის შესვლა გლეხთა ინტერნაციონალში. ამან აიძულა სერბიის ბურჟუაზია შეეცვალა მართვა-გამგეობის მეთოდები და მოეწვია ხელისუფლების სათავეში მემარცხენე ბლოკი, რომელსაც დავიდოვიჩი მეთაურობდა.

დავიდოვიჩს სურდა შეესუსტებია გამწვავებული ნაციონალური [illegible] ხორვატ[illegible] შეზღუდული ავტონომიის მინიჭებით. მუშათა კლასის მიმართ დავიდოვიჩის მთავრობა განაგრძობდა პაშიჩის პოლიტიკას. ფაშისტები ყოველმხრივ ხელს უშლიდენ დავიდოვიჩის კაბინეტს მისი პროგრამის განხორციელებაში. უკანასკნელმა ამბებმა საერთაშორისო პოლიტიკაში, კერძოდ კონსერვატორების გამარჯვებამ ინგლისში გაათამამა ფაშისტები და მათ განიზრახეს მემარცხენე ბლოკზე დაწყებული შეტევის ბოლომდი მიყვანა: დავიდოვიჩის მთავრობა იძულებული გახდა გადამდგარიყო.

ხელისუფლების სათავეში პაშიჩის დაბრუნება ნიშნავს რეაქციის გაძლიერებას ბალკანეთზე, ნაციონალური ბრძოლის გამწვავებას და ფაშიზმის გაძლიერებას სამხრეთ-სლავიაში, რაც თავის მხრით გააძლიერებს რესპუბლიკანურ ტენდენციებს ბურჟუაზიის რიგებში დაჩაგრულ ერებს შორის.

რაც შეეხება ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, პაშიჩის მთავრობა, რომელიც ყურმოჭრილი მონაა საფრანგეთის ბურჟუაზიის, ალბათ, დიდი ხნით ვერ გადასდებს საბჭოთა კავშირის ცნობას.



სტეფან რადიჩი

ხორვატიის გლეხთა პარტიის ლიდერი, საბჭოთა კავშირის მეგობარი, რომელსაც სდევნის სამხრეთ-სლავიის რეაქციონური მთავრობა.

პარიზი, 11 ნოემბ. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, სამხრეთ-სლავიის მთავრობას განზრახული აქვს პასუხისგებაში მისცეს რადიჩი „სახელმწიფო ღალატის და მეფის შეურაცხყოფისათვის“. ხმები რადიჩის გაქცევის შესახებ სიმართლეს არ შეეფერება.

ბალდვინის პროგრამა

ლონდონი. 10 ნოემბ. ახალმა პრემიერმა ბალდვინმა პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა ლონდონის ლორდ-მერის მიერ გამართულ წლიურ ბანკეტზე. თავის სიტყვაში ბალდვინმა განაცხადა: „მთავრობის მთავარი ამოცანები საგარეო პოლიტიკის სფეროში იქნება მტკიცე მდგომარეობის შექმნა და წინანდელი მთავრობის მუშაობის გაგრძელება. ჩვენ მხარს ვუჭერთ სამშვიდობო ხელშეკრულებებს და ვეცდებით კეთილმეზობლური ურთიერთობა დავამყაროთ უცხოეთის ყველა სახელმწიფოებთან ამ ხელშეკრულებათა ნიადაგზე. ჯერ კიდევ წინანდელმა კონსერვატიულმა მთავრობამ გადასდგა ნაბიჯები, რომლებმაც პირდაპირ მოგვიყვანა დოუესის გეგმამდე და ლონდონის კონფერენციამდე, რომელიც ასე ნაყოფიერი გამოდგა მაკდონალდის მოხერხებული ხელმძღვანელობის წყალობით. კონფერენციას ჰქონდა აგრეთვე განსაკუთრებული მნიშვნელობა, ვინაიდან ის ნიშნავდა ამერიკის მიერ ევროპის საქმეებში მონაწილეობის მიღების განახლებას.

კონფერენციის შემდეგ გერმანიის წინაშე იშლება ახალი შესაძლებლობანი, თუ კი ის სისწორით დაიცავს თავის ვალდებულებას და არ გადაუხვევს მათ. მთავრობას სჯერა, რომ გერმანიის განიარაღება საბოლოოდ დამთავრებული იქნება, ყოველგვარ ვადის გაგრძელებისა და დაბრკოლებათა გარეშე. რაც შეეხება რუსეთს და ეგვიპტეს, მთავრობა ნაადრევად სთვლის ჯერ-ჯერობით ამის შესახებ რაიმე აზრის გამოთქმას.

შეეხო რა შინაური პოლიტიკის საკითხებს, ბალდვინმა განაცხადა, რომ მთავრობა გააძლიერებს [illegible] ბინაო კრიზისის საკითხის გადაჭრას და გულდასმით შეისწავლის სიძვირის საკითხს.

ქაბული. 10 ნოემბ. გაზეთი „პაიონერ“-ი იტყობინება, რომ ინდოეთის ვიცე-კოროლმა გამოაქვეყნა ახალი სისხლის სამართლის კანონი ბენგალიისათვის, რომლის მიხედვითაც მთავრობის თვითეულ მოხელეს უფლება აქვს უორდეროთ მოახდინოს ჩხრეკა და დაპატიმრება, ადგილობრივ ხელისუფლებას კი უფლება აქვს რომელიმე საცხოვრებელ ადგილზე მიამაგროს ანდა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის უფლება წაართვას იმ პირებს, რომლებსაც წინეთ ბრალი ედებოდათ კანონების დარღვევაში ანდა რომლებიც საეჭვო პირებად ითვლებიან. ახალ კანონში გათვალისწინებულია, რომ იმ პირების საქმე, რომლებიც დაპატიმრებული იქნებიან ამ კანონის თანახმად, უნდა გაარჩიოს განსაკუთრებულმა სასამართლომ, რომელშიაც უნდა შევიდეს მთავრობის სამი კომისარი. ვიცე-კოროლი აღნიშნავს, რომ ის იძულებულია მიმართოს ამ ღონისძიებებს რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერების გამო ბენგალიაში.

ინდოეთის ნაციონალისტების ბელადმა დასმა, პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ვიცე-კოროლის ახალი განკარგულება მიზნათ ისახავს ბრძოლას ნაციონალური მოძრაობის განვითარების წინააღმდეგ. დასის აზრით, მთავრობა სცდება, თუ ის ფიქრობს, რომ სვარაჯისტების *) ბელადების დაპატიმრებით შეასუსტებს პარტიას, ამით ის მხოლოდ გააძლიერებს ნაციონალურ მოძრაობას.

აჯანყება ესპანეთში

ამბოხება ყაზარმებში.—ჟანდარმები „მუშაობენ“.—მზადდება შეთქმულება დიქტატორის წინააღმდეგ

მესანგრეების აჯანყება.

პარიზი. 10 ნოემბ. ესპანელ გაზეთების ცნობით, ბარსელონის მესანგრეების ყაზარმებში დაიწყო ამბოხება. პოლიციამ და კავალერიამ ალყა შემოარტყეს ყაზარმებს.

ესპანეთის საელჩო ლისაბონში იუწყება, რომ მეამბოხეები დაპატიმრებული იქნენ, თითქოს ქალაქში სრული სიწყნარე სუფევს. საელჩო ირწმუნება, რომ მთელ კატალონიაში და ნავარაში სრული სიმშვიდეა.

დიქტატორის წინააღმდეგ

პარიზი. 10 ნოემბ. ესპანეთის პოლიტიკური წრეები აღშფოთებულნი არიან საფრანგეთის საზღვარზე მრავალ ესპანელების დაპატიმრების გამო. დაპატიმრებულებს ბრალად ედება ესპანეთში იარაღის ფარულ გაგზავნა.

პარიზის ესპანელთა კოლონი აშკარად ლაპარაკობენ, რომ დე ვერას მთავრობის წინააღმდეგ მ დება სამხედრო შეთქმულებაო.

რკინისგზელთა გაფიცვა ავსტრიაშ

ჰანოვერი. 10 ნოემბ. ვენიდან მიღებული ცნობით, ავსტრიის რკინისგზელთა გაფიცვა გრძელდება. ავსტრიის ეროვნული კრება შეიკრიბება სამშაბათს კრიზისის განსახილველად.

მთავრობა ყოველივე საშუალ ხმარობს, რომ მოაწყოს ავტო ლების მიმოსვლა დუნაიზე. ელე რონის ტრამვაის მუშები ვენაში პრესბურგში შეუერთდენ გაფიცვა

კომინტერნში

ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის 5 წლ თავის გამო

მოსკოვი, 11 ნოემბერი. 21 ნოემბერს სრულდება ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის 5 წლის თავი; ამის გამო ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომმა მიმართა ყველა ქვეყნის მშრომელ ახალგაზრდობას მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნულია განვლილი ბრძოლის სიძნელენი და ამოცანები, რომლებიც სდგას მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის წინაშე.

მოწოდებაში ნათქვამია: „ამ ხუთი წლის განმავლობაში, მიუხედავად მძიმე მსხვერპლის გაღებისა, ჩვენ შეუჩერებლად წინ მივდიოდით. ჩვენი ორგანიზაციები გაიზარდენ. ლენინის იდეები განმტკიცდა ჩვენს წრეში. საერთაშორისო კავშირი უაღრესად განმტკიცდა. ჩვენ გავხდით მსოფლიო ორგანიზაციად, რომელსაც თავისი კავშირი და უჯრედები აქვს მსოფლიოს ყოველ კუთხეში. ჩვენს რიგებში გაერთიანდენ ყველა ტომის, ყველა ხალხის და მშრომელი ელემენტები, რომ ხონ კაპიტალიზმი და დაამყა მუნისტური წყობილება.

იმპერიალისტური წინააღმ ნი ავაზაკურ „ძლიერ“ სახ ებს შორის არ არის აღმო ისინი კიდევ უფრო წაქეზ მანეთს და სცდილობენ გა ახალი, კიდევ უფრო საშინე ლი ხოცვა-ჟლეტა.

ამხანაგებო! თავისი ხუთი წლის თავზე, ახალგა კომუნისტური ინტერნაციო მელიც ერთგულათ ემსახურ ნის და ლიბკნეხტის ანდერ იმაღლებს ხმას ახალი იმ ტური ომის შესაძლებლობ აღმდეგ! ემზადე ახალ ბრძო ვის, მუშების და გლეხების ა და არმიავ! ძირს იმპერია ომი! გაუმარჯოს საერთაშორი ვოლიუციას“.

წითელ რესპუბლიკებშ

რუსეთი.

საბჭოთა კავშირის პროფკავშირების მე-6 ყრილობა

მოსკოვი. 11 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის პროფკავშირების მე-6 ყრილობა გაიხსნა გუშინ, 11 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე.

ცალკე პროფკავშირების პლენუმი

მოსკოვი, 11 ნოემბერი. პროფკავშირების ყრილობის მუშაობის დროს შეიკრიბება სამთომადნო და საამშენებლო დარგის მუშების, საბჭოთა მუშაკების და [illegible] მუშაკების [illegible] პროფკავშირების პლენუმები.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

მინსკი. 11 ნოემბერი. ორშანკის მაზრაში 3 კვირაზე მეტი გაგრძელდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 824 სასოფლო მეურნეობა. აქედან 149-ს მიეცა პრემია, გლეხები დიდ ინტერესს იჩენდენ ტრაქტორებისადმი.

კიევის უმაღლეს სასწავლებლების წმენდა.

კიევი, 11 ნოემბერი. სტუდენტების აკადემიურ წმენდამ გამოააშკარავა სტუდენტების პოლიტიკური მომზადების დაბალი დონე. სტუდენტები სრულიად არ საბჭოთა სახელმწიფოებრივ ბილებას და არა მარტო ს არამედ იმ ოლქებში, სადაც უხდებათ მუშაობა.

მოსკოვი, 10 ნოემბ. მეცნიერებმა გაუგზავნეს მეცნიერებს დეპეშა, რომ კმაყოფილებას გამოთქვამ მალურ ურთიერთ გამო საბჭოთა კავშირსა და გეთს შორის; დეპეშაში გა ლია იმედი, რომ საბჭოთა ცნობა კიდევ უფრო განა კავშირს რუსეთს და საფრა მეცნიერებს შორის.

დარბაზობა ამხ. ჩიჩერი

მოსკოვი, 9 ნოემბ. 7 ნ ამხ. ჩიჩერინთან ოქტომბრის ლუციის 7 წლის თავის გა მართა დარბაზობა. დარბაზო ესწრო მთელი დიპლომატიური პუსი. უცხოეთის მთელ რიგ მა ეკვიპაჟებისაგან ამხ. ჩიჩ მიიღო მისალმების დეპეშები.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი.

მინერალური წყალი.

ერევანი. 11 ნოემბერი. ოზონირის მახლობლად, ერევნის მაზრაში, აღმოაჩინეს სამკურნალო წყალი, რომლის ანალიზიდან გამოირკვა, რომ ეს წყალი გაცილებით უკეთესია კისლოვოდსკის ნარზანზე. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ აღძრა ჯანსახკომის და შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე შუამდგომლობა, რათა აღმოჩენილი წყაროები გამოყენებული იქნეს სამკურნალო კურორტებათ.

ასოების ჩამოსხმა

ერევანი, 11 ნოემბ. სომხეთის პოლიგრაფიულმა ტრესტმა ფართოდ დააყენა ასოების ჩამოსხმის საქმე. ამ წლიდან სომხეთის მოთხოვნილება სომხურ შრიფტზე სავსებით კმაყოფილდება. ახლო მომავალში სომხური შრიფტი გაზიდული იქნება საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში. გამოწერილია სამი ლინოტიპი.

ახალი ფილმა

ერევანი, 11 ნოემბ. სომხეთის დამხმარე კომიტეტმა თავის ლონდონის განყოფილებისაგან მიიღო 16,000 მეტრი კინოლენტი, რომელზედაც გადაღებული იქნება სურათები საბჭოთა სომხეთის სააღმშენებლო ცხოვრებიდან. უკვე მიღებულია დაკვეთები ამ ფილმაზე ამერიკიდან, და პარიზიდან, სურათები ნაჩვენები იქნება მთელს საბჭოთა კავშირში,

საკრედიტო ამხანაგობა.

ერევანი. 10 ნოემბ. ლენინაკანის მაზრის მესამე და მეოთხე უბნების გლეხებმა დაადგინეს დაარსონ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა,

ყურძენი და ბამბა.

ეჩმიაძინი. 11 ნოემბერი. სტატისტიკური ბიუროს ცნობების მიხედვით ყურძნის, ბამბის და პურის მოსავალი ეჩმიაძინის რაიონში 1924 წლის განმავლობაში შეფასებულია 3,392,000 მანეთად. 1912 წლის მოსავალი ავავე რაიონში შეფასებული იყო 3,520,000 მანეთად.

ოქტომბრის დღესასწაული აჭარისტანში

ბათომი. 10 ნოემ. ბათომის ყველა წარმოებებსა და დაწესებულებებში მუშაობა შეწყდა 6 ნოემბერს დღის 12 საათზე. საღამოს აკადემიურ თეატრში გაიმართა ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა ფაბრიკა ქარხნების, ადგილობრივ კომიტეტების და პროფორგანიზაციების თანადასწრებით, ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთეს ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ ახალაძემ, საქ. კომპარტიის აჭარის კომიტეტის მდივანმა სვანიძემ და სხვ.

საღამოს ქალაქი გაჩირაღდნებული იყო და მორთული წითელი დროშებით.

7 ნოემბერს დილით გაიმართა [illegible]

[illegible] აღლუმის შემდეგ სამხედრო ნაწილებმა და პროფორგანიზაციებმა გამართეს მსვლელობა ქალაქის ქუჩებში: ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი. დღესასწაულს ჰქონდა საერთო სახალხო მანიფესტაციის ხასიათი.

აჭარის მაზრებში დღესასწაულის ჩასატარებლად გაგზავნილი იქნენ საქ. კომპარტიის აჭარისტანის კომიტეტის წევრები და აჭარის ცაკის წარმომადგენლები.

ქობულეთში გაიმართა მუშების და გლეხების მრავალ-რიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც ვრცელი მოხსენება გააკეთა ცაკის წევრმა [illegible].

ჩაქვში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზედაც მოხსენება გააკეთა შრომის სახ. კომისარმა ბერიძემ. [illegible]

[illegible]

კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმში

უპარტიო მუსლიმან ინტელიგენტების კონფერენციის მოწვევის შესახებ

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ავლ.-ხარფუხის რაიკომის დადგენილი მუსლიმან ინტელიგენტების კონფერენციის მოწვევის შესახებ.

პროლეტარული სტუდენტობის თბილისის ბიუროს შესახებ.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა პროლეტარული სტუდენტობის თბილისის ბიუროს ანგარიში, რის შემდეგაც ბიუროს წინადადება მისცა: 1) მოახდინოს იმ სტუდენტების აღრიცხვა, რომლებიც მიმდინარე აკადემიურ წელში იყვნენ მიღებული უმაღლეს სასწავლებლებში; 2) მოწყობილი იქნეს უმაღლეს სასწავლებლების თათბ, რომელმაც უნდა განიხილოს ოთხი პროფორგანიზაციების სექტორის შესახებ ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში. მოწვეული იქნეს პროლეტარული სტუდენტობის თბილისის ბიუროს პლენუმი ყველა უმაღლეს სასწავლებლის პროფსექციების აღმასრულებელ ბიუროებთან ერთად; პლენუმზე პრეზიდიუმმა მოხსენება უნდა გააკეთოს თავისი მუშაობის შესახებ.

კულტურული [illegible] მხრივ თბილისის კომიტეტ საავიტაციო საპროპაგანდო განყოფილებას დაევალა ხელმძღვანელობა გაუწიოს სტუდენტურ [illegible] ხაზის მხრივ თბილისის კომიტეტმა დაადგინა დააკმაყოფილოს ბიუროს შუამდგომლობა ყოველთვიურად 300 მანეთის მიცემის შესახებ სასადილოს [illegible]; [illegible] ლისის კომიტეტის პრეზიდიუმმა აგრეთვე [illegible] სათანადო ადგილობ [illegible]

თბილისის პარტკონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნის წესი სამხედრო ორგანიზაციაში.

თბილისის კომიტეტი დაეთანხმა თბილისის გარნიზონის პოლიტიკურ სამმართველოს წინადადებას, რომლის მიხედვითაც სამხედრო ორგანიზაციებიდან თბილისის პარტკონფერენციაზე გასაგზავნი დელეგატები არჩეული უნდა იქნენ გარნიზონის მორიგ პარტკონფერენციაზე. სამხედრო ნაწილებში მომუშავე ამხანაგები, რომლებიც უკვე არჩეული იყვნენ რაიონულ კონფერენციებზე, ჩაირიცხული უნდა იქნენ იმ დელეგატების შემადგენლობაში, რომლებიც გარნიზონის კონფერენციაზე იქნებიან არჩეული.

თბილისის პარტკონფერენცია და თბილისის ორგანიზაციის 30 წლის იუბილე.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა თბილისის პარტკონფერენცია გახსნას 30 ნოემბერს—თბილისის ორგანიზაციის 30 წლის იუბილეს დღეს. მიღებულია გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ იუბილეს დღეს გამოცემული იქნეს მოწოდება, „რევოლიუციის მატიანეს“ სპეციალური ნომერი ქართულ და რუსულ ენებზე და მოწყობილი იქნეს თბილისის ორგანიზაციის ძველი წევრების თათბირი.

დისკუსია საბინაო საკითხის შესახებ.

დისკუსიას საბინაო საკითხის შესახებ თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი დამთავრებულად სთვლის და წინადადებას აძლევს რაიკომებს მთელი დაგროვილი მასალა წარადგინონ განსახილველად თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმში.

სარევიზიო კომისიის ცნობა.

თბილისის კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო იმის შესახებ, რომ უახლოეს სარაიონო სადელეგატო კრებებზე არჩეული იქნეს რაიონული სარევიზიო კომისიები; ამასთანავე თბილისის კომიტეტმა დაამტკიცა პრაქტიკული წინადადება თ. კ. სა- [illegible]

ბორჯომის მე-6 პარტკონფერენცია

2 ნოემბერს შესდგა საქართველოს კომუნისტურ პარტიის ბორჯომის ორგანიზაციის მე-6-ე სარაიონო პარტკონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ ყველა წევრები და კანდიდატები.

პარტკონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: ბორჯომის რაიკომის ანგარიში თავის მოქმედება-მოღვაწეობის შესახებ, მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ, რაიკომის არჩევნები და დელეგატების არჩევნები სამაზრო ყრილობაზე დასასწრებლად.

პირველი მოხსენების ირგვლივ გამოტანილი იქნა კონფერენციის მიერ შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება მე-6-ე სარაიონო პარტკონფერენციამ ბორჯომის რაიკომის პასუხისმგებელ მდივნის ამხ. ა. ცეხაძისა რაიკომის მოქმედება-მოღვაწეობის შესახებ, რომელმაც ვრცლად გააცნო კონფერენციას ყოველივე ის, თუ რა გაუკეთებია ბორჯომის რაიკომს როგორც პოლიტიკურ-ეკონომიურ, აგრეთვე აღმშენებლობითი დარგში, მე-6-ე პარტკონფერენცია სცნობს მის მუშაობას სრულიად დამაკმაყოფილებლად“.

მე-2-ე საკითხის, სოფლად მუშაობის შესახებ, მოხსენება გააკეთა გორის სამაზრო პარტკომის საორგანიზაციო განყ. გამგემ ამხ. ანდრო სიამაშვილმა, რომელიც ვრცლად შეეხო საქართველოს კომპარტიის მე-3-ე ყრილობის და მე-13-ე პარტყრილობის დადგენილებებს და ამოცანებს სოფლად მუშაობის შესახებ.

შემდეგ მოხდა რაიკომის წევრების არჩევა და დელეგატების არჩევა გორის სამაზრო პარტკონფერენციაზე დასასწრებლად.

საკითხების ამოწურვის შემდეგ კონფერენცია დახურული იქნა.

პარტკორი ნ. ლოტოევი

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

მბეჭდავთა კომკავშირის უჯრედში

20 ოქტომბერს მბეჭდავთა კლუბში შესდგა გაერთიანებული სხდომა მბეჭდავთა კომკავშირის უჯრედის წევრთა ახალგაზრდა პიონერთა თანდასწრებით.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: თბილისის ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის ორი წლის თავი და ახალგაზრდა პიონერთა გადარიცხვა კომკავშირში. პირველი საკითხის შესახებ გააკეთა მოხსენება აბახიძემ, ხოლო მეორე საკითხის შესახებ კი ამხ. გეგეჭკორმა.

მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენებები თბილისის ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის ორი წლის თავის და ახალგაზრდა პიონერთა გადარიცხვის შესახებ კომკავშირში, მბეჭდავთა კომკავშირის უჯრედის კრება პიონერთა ცენტრალურ საბჭოსთან ერთად კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციების თანდათანი განვითარება და გამაგრება არის ერთად-ერთი მთავარი წყარო ლენინელთა ახალგაზრდა კომუნისტური კავშირის სიმტკიცის და სიძლიერისა. გაუმარჯოს ლენინის სახელობის ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციებს, გაუმარჯოს ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალს, რომელიც ლენინიზმის დროშის ქვეშ ლენინის [illegible] იბრძვის კომუნიზმის შენებისათვის“.

ი. ჯ.

მისალმება კომპარტიას

ასურეთი.

ასურეთის გლეხების საერთო კრება ესალმება საქართველოს კომუნისტურ პარტიას საქართველოს მუშების და გლეხების განმანთავისუფლებელს ოქტომბრის რევოლიუციის მე-7 წლის თავზე.

კრების თავმჯდომარე ბეპურიშვილი.

[illegible]

[illegible] ტეტს, როგორც ერთადერთ დამცველს მუშების და გლეხების ინტერესებისა. გლეხები მზად არიან კომპარტიის პირველ დაძახებისთანავე ფეხზე დადგენ შეკავშირებული რიგებით.

გაუმარჯოს კომპარტიას—მუშების და გლეხების ინტერესების ერთადერთ დამცველს.

ლენინის რაიონის ხელისმომწერთა საყურადღებოდ

ლენინის რაიონის გაზ. „კომუნისტი"-ს, „მუშა"-ს და „მიწის მუშა"-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ ცხადდება, რომ ამ რაიონის დამტარებლის ამხ. კანონოვის უეცრად ავად გახდომის გამო, გაზეთები დარიგდება ცოტა დაგვიანებით.

1—1 მთავარი კანტორა.

შაქარი მიღებულია

ათი ათასი ფუთი შაქრის მიღება

10 ნოემბერს ოდესიდან ბათომში მოვიდა გემი, რომელმაც ჩამოიტანა 10.100 ფუთი ფხვნილი შაქარი გამოგზავნილი საქართველოსათვის. ამ დღეებში მოელიან ბათომში მეორე გემს, რომელიც ჩამოიტანს 12,000 ფუთ ფხვნილ შაქარს.

დღეს თუ ხვალ შაქარი მიღებული იქნება თბილისში და დაურიგდება მცხოვრებლებს კოოპერატიული ორგანიზაციების საშუალებით.

როგორც ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში, უკანასკნელ დროს შაქრის მიღების შეფერხება, რომელმაც უკანასკნელ დღეებში შაქრის კრიზისის ხასიათი მიიღო, აიხსნება უმთავრესად როგორც ხმელეთის, ისე საზღვაო ტრანსპორტის მუშაობის სისუსტით და აგრეთვე მით, რომ ამ დროს შავს ზღვაზე მძვინვარებდა ქარიშხალი.

მაგალითად, უკრაინის შაქარი, ახლად დამზადებული, რომელიც გამოიგზავნა ქალაქ ვინიციდან (პოდოლსკის გუბ.) 14 ოქტომბერს, მხოლოდ 18 ოქტომბერს მოვიდა ოდესაში, საიდანაც ბათომში მიღებული იქნა 15 დღის დაგვიანებით.

ნოემბრის მეორე ნახევრიდან შაქრის მიწოდება როგორც თბილისისათვის, ისე მთელი საქართველოსათვის საუკეთესოდ იქნება დაყენებული.

რაც შეეხება რაფინადს, ის მიღებული იქნება არა უადრეს დეკემბრისა, რაც აიხსნება მით, რომ მისი დამზადება იწყება მხოლოდ ნოემბერში.

თბილისის აღმასკომის საქმიანობა

შრომის ხელფასი და შრომის ნაყოფიერება კომუნალურ წარმოებებში

1. ტრამვაი

თბილისის საბჭოს სტატისტიკურ ეკონომიურ განყოფილების ცნობებით, თვიურად ტრამვაის თვითეულ თანამშრომელზედ მოდის გადაყვანილი მგზავრი:

1921 წელში (იანვარ-სექტემბერი)	1,005 *)
1923 „ „ „	1,539
1924 „ „ „	1,816

პროდუქციის საერთო ღირებულება კი ერთ თანამშრომელზე უდრიდა:

1921 წელში (იანვარ-სექტემბერში)	9 მან. 10 კ.
1923 „ „ „	78 მან. 28 კ.
1924 „ „ „	120 მან. 05 კ.

ერთი თანამშრომლის შენახვა დაზღვევისა, ტანსაცმელისა და სხვა ხარჯებით ჯდებოდა:

1921 წელში (იანვარ-სექტემბერში)	23 მ. 69 კ. **)
1923 „ „ „	38 მ. 89 კ.
1924 „ „ „	45 მ. 12 კ.

ამნაირად 1921 წელთან შედარებით 1924 წელში გადიდებულია:

შრომის ნაყოფიერება	80,7 პრ.-ით.
პროდუქციის საერთო ღირებულება	1.209,8 „
შრომის ხელფასი კი	57,3 „

1923 წელთან შედარებით კი გადიდებულია:

შრომის ნაყოფიერება	18,0 „
პროდუქციის საერთო ღირებულება	53,4 „
შრომის ხელფასი	16,0 „

ახლა ვნახოთ როგორია ტრამვაის მდგომარეობა ომის წინა ხანასთან შედარებით. საშუალო თვიური რაოდენობა გადაზიდულ მგზავრებისა უდრიდა:

1912 წელში	2,353,810
1924 წელში	1,686,060

საერთო საშუალო შემოსავალი ტრამვაისა თვის განმავლობაში უდრიდა:

1912 წელში	106,063 მ. 35 კ.
1924 წელში	67,532 მ. 56 კ. ***)

(ომის წინა დროის მანეთებში).

გასავალი კი უდრიდა:

1912 წელში	65,245 მ. 93 კ.
1924 წელში	50,721 მ. 64 კ.

(ომის წინა დროის მანეთებში)

ამნაირად 1924 წელში გადაზიდულ მგზავრთა რიცხვი შეადგენს ომის წინა დროსთან შედარებით 71,6 პროც.-ს, საერთო შემოსავალი—63,7 პროც.-ს, გასავალი—77,8 პროც.-ს.

ასეთია მდგომარეობა ტრამვაიზედ. ახლა გადავიდეთ წყალსადენის მოქმედების განხილვაზედ.

2. წყალსადენი

საშუალოდ, თვეში წყალსადენის ერთ თანამშრომელზედ მოდის გადმოქაჩული წყალი:

1921 წელში (იანვარ-სექტემბერში)	138,621 ვედ. წ.
1923 „ „ „	138,447 „ „
1924 „ „ „	143,875 „ „

საერთო პროდუქციის ღირებულება კი ერთ თანამშრომელზედ თვეში უდრიდა:

1921 წელში	3 მან. 26 კ.
1923 წელში	153 „ 10 „
1924 წელში	230 „ 93 „

ერთი თანამშრომლის შენახვა თვეში ჯდებოდა.

1921 წელში	25 მან. 96 კ.
1923 წელში	31 მან. 22 კ.
1924 წელში	44 მან. 37 კ.

ამნაირად 1921 წელთან შედარებით 1924 წელში გადიდებულია:

შრომის ნაყოფიერება	3,8 პროც.
პროდუქციის საერთო ღირებულება	6,983,7 პროც.
შრომის ხელფასი	70,9 პროც.

1923 წელთან შედარებით კი გადიდებულია:

შრომის ნაყოფიერება	3,9 პროც.
პროდუქციის საერთო ღირებულება	50,8 პროც.
შრომის ხელფასი	42,1 პროც.

თუ პარალელს 1914 წელთან გავიყვანთ, შემდეგს დავინახავთ:

საშუალო თვიური რაოდენობა გადმოქაჩული წყლისა უდრიდა:

1914 წელში	30,206,017 ვედ. წ.
1924 წელში	39,102,288 „ „

წყალსადენის საერთო საშუალო, თვიური შემოსავალი უდრიდა:

1914 წელში	41,662 მ. 35 კ.
1924 წელში	38.038 96 „

(ომის წინა დროის მანეთებში)

გასავალი კი უდრიდა:

1914 წელში	21,143 მ. 37 კ.
1924 წელში	37,407 „ 81 „

(ომის წინა დროის მანეთებში)

ამნაირად, 1912 წელთან შედარებით 1924 წელში წყლის გადმოქაჩვა 29,4 პროც. გადიდებულა, ხოლო საერთო შემოსავალი 8,7 პროც. დაკლებულა. რაც შეეხება გასავალს, 1914 წელთან შედარებით 1924 წელში იგი 76,9 პროც. გაზრდილა.

---

*) 1921 წელში 15 ივლისიდან 15 სექტემბრამდე რემონტის გამო ტრამვაი სრულიად არ მუშაობდა.

**) ამაში შედის ქალაქის რევკომის მიერ დაწესებული ფასით ყოველთვიურად [illegible]: 1) 7 გირ. [illegible], 2) 8 გირ. ბრინჯი, 3) 2 გირ. შაქარი, 4) 14 გირ. პური [illegible] 3 გირ., 5) 1 ფუთი [illegible], 6) 5 ხუთ. გირ. [illegible] 30 [illegible] ამას გარდა ქალაქის რევკომი [illegible] 24 [illegible].

***) [illegible] დამოკიდებულებით 1:1,65.

საბინაო საკითხი თბილისში

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ქალაქის აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოსთან არსებულ საბინაო კოოპერაციის განყოფილების გამგეს, რომელმაც საბინაო საკითხის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— მთავარი მიზეზი საბინაო საკითხის მოუწესრიგებლობისა მდგომარეობს იმაში, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არ შეხებია საბინაო საკითხს. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ მეურნეობის ყოველი დარგი აღორძინების გზაზე დადგა, სახლების მდგომარეობა კი ამ პოლიტიკის შემდეგ არა თუ არ გაუმჯობესებულა, არამედ კიდევ უფრო გაუარესდა: სახლები ინგრევა, ახალი სახლების აგებაზე ხომ ლაპარაკიც მეტია; სახლების შემოსავალი ისე მცირეა, რომ ხშირად მეპატრონეს ჯამაგირსაც კი არ ფარავს. ხშირად, მდგმურები, რომლებიც ჩასახლებული არიან როგორც მუნიციპალიზაციაქმნილ, ისე კერძო სახლებში, ჩქენდა სამწუხაროდ არ არიან გამაქვავალეთა იმ აზრით, რომ მოუარონ და შეინახონ ბინები. ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი თავისი დაუდევრობით აფუჭებენ ბინებს. ისინი აქამდი კერ განთავისუფლებულან იმ შეხედულებისაგან, რომ აღმასკომი ვალდებულია ყოველთვის მზად ჰქონდეს მათთვის ბინები; ისინი ფიქრობენ, რომ როდესაც ერთი ბინა საცხოვრებლად გამოსადეგი აღარ იქნება, აღმასკომი მოვალეა მათ სხვა ბინა მიაწოდოს. ბინებისადმი ასეთი მოპყრობის პირობებში, რასაკვირველია, შეუძლებელია სახლების დაუნგრევლად შენარჩუნება.

ამას გარდა არის კიდევ მეორე გარემოება, რომელიც კიდევ ართულებს მდგომარეობას. ზოგიერთი კერძო სახლების მეპატრონეებმა სახლები შემოსავლის წყაროდ გაიხადეს. ისინი დაინტერესებული არიან მხოლოდ იმით, რომ ქირები მოაგროვონ, სახლების შეკეთებას კი ისინი ყურადღებას არ აქცევენ. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სახლების მეპატრონეები განგებ ანგრევენ სახლებს, რომ ამით აიძულონ მუშები და საბჭოთა მოსამსახურეები დასცალონ ბინები, რადგან ბინების ქირა მეტად მცირეა.

სახლები უნდა გადავიდნენ სამეურნეო ანგარიშზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ეხლანდელი „ქირებით" არაფრის გაკეთება არ შეიძლება.

სახლების დაუნგრევლად შენარჩუნებისა და საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, ჩვენ განზრახვა გვაქვს შევიტანოთ შუამდგომლობა ალვძრათ ქალაქის აღმასკომის წინაშე იმის შესახებ, რომ კერძო სახლების მდგმურებს უფლება მიეცეს რემონტი გაუკეთონ ბინებს ბინის ქირის ანგარიშში. ამისათვის საჭირო იქნება მდგმურების ამხანაგობების ანდა კომიტეტების შექმნა იმ სახლებში, სადაც სახლის პატრონი არავითარ ყურადღებას არ აქცევს სახლს, ამხანაგობის ან კომიტეტის მოვალეობა იქნება თვალყური ადევნოს ბინების უვნებლად შენახვას და რემონტი გაუკეთოს ამ ბინებს ბინის ქირის ხარჯზე.

ჩვენს განყოფილებაში შემოსულია 100 მეტი განცხადება კერძო სახლების მდგმურებისა, რომლებიც სჩივიან იმას, რომ სახლების მეპატრონეები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ სახლებს. აი ასეთ სახლებში უნდა შეიქმნეს ამხანაგობები და სახლები უნდა გადაეცეს მათ.

დამატებითი მუნიციპალიზაციის მოხდენა ეხლა ძნელია, რადგან ამისათვის საჭიროა დიდი დრო და ამას გარდა ეს საკითხი დაკავშირებულია რთულ პროცედურასთან. საბინაო ამხანაგობების შექმნა კი დაჩქარებით შეიძლება და ეს საიმედოც იქნება. სახლების ამხანაგობებისათვის გადაცემა აიძულებს სხვა მეპატრონეებს უფრო გულმოდგინეთ მოეპყრან სახლების მოვლას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათთაც ჩამოერთმევათ სახლები.

საზოგადოება „თვითმშრომელი"-ს რეორგანიზაცია

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა 4 ნოემბრის სხდომაზე:

1) საზოგადოება—„თვითმშრომელი"-ს რეორგანიზაციის მიზნით, საზოგადოება დაშლილ იქნეს და მის მაგიერ, ადგილობრივ აღმასკომის მიერ გამომუშავებულ წესდების [illegible] საზოგადოების ორგანიზაცია.

2) ურთიერთ დახმარე საზოგადოების წევრობა არ უნდა იქნეს დაკავშირებული ყოველგვარ შეღავათებთან, რომელიც მინიჭებული ჰქონდა მთავრობის ორგანოებიდან.

3) შეღავათების უფლება საზოგადოების წევრთ მიეცეს იმდენად რამდენადაც შინამრეწველ-ხელოსნების [illegible] მით დადგენილი მოწაფეები.

ცენტრალური პედაგოგიური ინსტიტუტი

ახალი სკოლების ხელმძღვანელთა მოსამზადებლათ განათლების კომისარიატმა გახსნა პედაგოგიური ტეხნიკუმები სხვადასხვა ადგილას საქართველოში. ამ ტეხნიკუმთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს თბილ. ცენტრალურ პედ. ინსტიტუტს. ის სამი წელია რაც არსებობს. ინსტიტუტმა წელს უკვე გამოუშვა ახალი კადრი მასწავლებლებისა, რომლებიც გაიგზავნენ 7 წლედებსა და 9 წლედებში სამუშაოდ.

ა.-წ. ოქტომბრიდან პედაგოგიურ ტეხნიკუმში სწავლა სისტემატიურად მიმდინარეობს. დღეში იკითხება 7—8 ლექციები. ამ წლამდე აქ არ იყო არც კომპარტიის და არც კომკავშირის უჯრედები; დღეს უკვე დაარსებულია ორივე უჯრედი, რომლებშიაც თავს იყრის 30-მდე ანხანაგი.

არის მოწყობილი ლენინის კუთხე, იკითხება უპარტიო მსმენლებთან ერთად პოლიტიკური შინაარსის მოხსენებები და სხვა. განათლების კომისარიატმა ინსტიტუტში სამკითხველოს მოწყობისათვის გასდო 250 მანეთი, რომლითაც განზრახულია შეძენა სხვადასხვა წიგნისა (ლენინი, პლეხანოვი და სხვა) არის არჩეული თვითმართველობა მსმენელებიდან, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს [illegible] სტუდენტების ბიუროსთან. საერთოდ მთელ ინსტიტუტში გასულ წელთან შედარებით წელს საგრძნობლათ ცხოველდება

მ.—ლი.

საბჭოთა სასამართლო

ა. ბელსკის საქმე

მხარეების კამათი.

[illegible] ნოემბრის საღამოს სხდომაზე სასამართლომ მოისმინა პროფ. ახამიანის (ექსპერტის) აზრი ბრალდებულის ფსიქიურ მდგომარეობის შესახებ. პროფესორის აზრით მკვლელობის მომენტში ბრალდებული განიცდიდა არა პატალოგიურს, არამედ ძლიერს ფიზიოლოგიურ აფექტს. ექსპერტიზის შემდეგ სასამართლომ თავისი ძიება დამთავრებულად გამოაცხადა და წინადადება მისცა მხარეებს გამოეთქვათ თავისი აზრი საქმის შესახებ.

ბრალმდებელმა ტერ-არუთინოვმა დაადასტურა ბოროტმოქმედების ის კვალიფიკაცია, რომელიც აღნიშნულია საბრალმდებლო დასკვნაში. მისი აზრით ბოროტმოქმედება ჩადენილია წინასწარი განზრახვით. დრამის სარჩული იყო ბრალდებულის კერძო—მესაკუთრეობრივი დამოკიდებულება ცოლთან. ბრალმდებლის აზრით ბელსკი დასჯილი უნდა იქნეს 146 მუხ. ძალით (მაქსიმუმი 10 წელიწადი).

სამოქალაქო მაძიებელთა წარმომადგენელმა პ. ქავთარაძემ დაწვრილებით გააშუქა ფაქტიური მასალა და მკვლელობის ფსიქოლოგიური პირობები. ზოგადათ მისი შეფასება ეთანხმება ბრალმდებლის მიერ გათქმულ აზრს.

საქმის საფუძვლიანი ანალიზი გააკეთა აგრეთვე ბელსკის დამცველმა შ. მესხიშვილმა. დამცველი არ უარჰყოფს ბოროტმოქმედების სიმძიმეს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ბრალდება მეტისმეტად გართულებულა ბელსკის წინააღმდეგ აღძრულ დევნით შულგინისა და ვესელხოროვის ოჯახების მხრივ. ბრალდების ამ გამწვავების საბაბით დამცველი მიაჩნია ბელსკის 7 წლოვან ბავშვის ვესელოვზოროვების მიერ მითვისების სურვილი და მათი ინტიმური თვისების ინტერესები, რომლებიც შეილახა პროცესში ვითომდა ბავშვის მეოხებით. დამცველი ამტკიცებს, რომ არავითარ წინასწარ განზრახვას მკვლელობაში ადგილი არ ჰქონია და მოითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

მხარეების განმეორებითი სიტყვების შემდეგ სასამართლო გავიდა სათათბირო ოთახში. პროცესი დამთავრდა ღამის 12 საათზე.

განაჩენი.

დილის 4 საათზე სასამართლომ გამოაქვეყნა განაჩენი ს. ს.—ის 148 მუხლის ძალით ბრალდებულ ბელსკის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით (წინასწარი პატიმრობის ჩათვლით ჩაბარდა თავისუფლებაში დაახლოვებით 8 თვე). ბელსკის ბავშვი სასამართლოს დადგენილებით უნდა მიენდოს ბრალდებულის [illegible].

განაჩენი ელიაშვილის საქმის შესახებ

[illegible] ოლქის სასამართლომ დამტკიცებულად სცნო საბრალმდებლო დასკვნის ის ნაწილი, რომელიც შეეხება ბრალდებულ ელიაშვილს, ბურძენიშვილს, კოგორიშვილსა და ორაგველიძეს, რის გამო მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა: პირველ ორს—სამი წლის ვადით, მესამეს—ორი წ., ხოლო უკანასკნელს—ერთი წლით.

დანარჩენი ოთხი ბრალდებულები გამართლებული არიან.

მუშათა ცხოვრება

მაღაროს მუშებსაც გაუხსენით სასადილო.

(ჭიათურის „მუშკოპის" და პროფკავშირთა საბჭოს საყურადღებოდ).

ქ. ჭიათურიდან ოთხი ვერსის მანძილზე სახელდობრ „რგანის ღელეში" სავაჭრო შავი-ქვ.ს სამმართველო ამუშავებს შავი-ქვის მაღაროებში მუშებს. სოფელი დაშორებულია, ქალაქიც შორსაა,—ადგილობრივ არავითარი სავაჭრო არ არის, და ამიტომ სადილისათვის 200-მდე მუშას უხდება ქ. ჭიათურაში მუშაობის გათავების შემდეგ—ძალზე დაღლილდაქანცული მოსვენების მაგიერ, ოთხი ვერსის გავლა სასადილოთ და შემდეგ უკან დაბრუნება.

მუშები ყველა პროფკავშირის და მუშკოპის წევრებია. მუშების მოთხოვნილებას ადგილობრივ სასადილოს გახსნის შესახებ არც მუშკოპის და არც პროფ-კავშირის მიერ დღემდე ყურადღება არ მიუქცევია.

მუშკოპს კი ადვილად შეუძლია ამის გამოსწორება სასადილოს გახსნით.

მუშკოპო, გახსენი რგანის ღელეში მაღაროს მუშებისათვის წითელი სასადილო.

ინფ. ელწერი.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში.

აღნიშნულ კომისარიატის მუშა-თანამშრომელთა საზოგადო კრებაზე ადგილკომის პასუხისმგებელმა მდივანმა გლეზინმა გააკეთა საანგარიშო მოხსენება ადგილკომის მუშაობის შესახებ ა | წ. 15 მარტიდან 17 ოქტ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ადგილკომი № 9 აერთიანებს 222 კავშირის წევრს.

ადგილკომის მუშაობას ახასიათებს: 1) მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის უცოდინარობის თითქმის სრული ლიკვიდაცია, ფიზკულტურის წრის დაარსება, სანგანათლების თეატრში უფასო ლექციების და წარმოდგენების გამართვა. გაზეთების კოლექტიურად გამოწერა და სხვადასხვა კამპანიების ჩატარება, წრეების დაარსება და სხვა.

ეკონომიურ დარგში.—შემფ.-საკონფ. კომისიის მიერ საანგარიშო ხანაში გარჩეულ იქნა 194 საკითხი, საურთიერთო დახმარების კასიდან უკანასკნელ დრომდე იცემოდა დახმარება შეძლებისდაგვარად.

სწარმოებდა აგრეთვე მუშაობა ქალთა და ახალგაზრდათა შორის.

მოხსენების შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში კრება დამაკმაყოფილებლად სთვლის ადგილკომის მუშაობას.

შემდეგ მოხდა ადგილკომის და ყველა კომისიების გადარჩევა; ადგილკომში არჩეულ იქნენ—გლეზინა, ჩიხლაძე, ჩიკვიშვილი, პოპოვი ყანდარელი, ტელიატნიკოვი, კოჩიაშვილი; სარევიზიო კომისიაში:—ნიკოლაიშვილი, კარდაშიანი და ოგაიანი. კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიაში:—კოჩიაშვილი, ნიკოლაიშვილი და პოპოვი, საქალაქო კონფერენციაზე არჩეულ იქნა 12 ამხანაგი.

დასასრულ ამხ. ნაზარეტიანის წინადადებით ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია დაზარალებულ ლენინგრადის პროლეტარიატისათვის ერთი დღის ხელფასის გადადების შესახებ.

მუშკორი ა. ნ.

პასუხი ამხ. ვ. რუხაძეს

(იხ. „კომუნისტი" № 247)

28 ოქტომბერს გაზეთ „კომუნისტი"-ს მე-247 №-ში მოთავსებული იყო ამხ. რუხაძის წერილი სათაურით „აღმაშფოთებელი მაგალითი" (რკ. გზ. სამმართველოს და პროფკავშირის საყურადღებოდ).

ავტორის წინასიტყვაობა საერთოდ სამმართველოს მიმართ შეიძლება ნაწილობრივ შეესაბამებოდეს სინამდვილეს, მაგრამ ამხ. რუხაძის მიერ აღნიშნული კონკრეტიული ფაქტი სრულიად უსაფუძვლოა და ნაყოფია მისი პირადი უკმაყოფილების.

ორი თვის განმავლობაში „ქართლი"-ს წარმომადგენელი ჯერ მოქ. კლიმიაშვილი და მერე რუხაძე აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ეკონომიურ განყოფილებასთან ხაჩმასის საწყობების იჯარით აღების შესახებ.

მე პირადათ მხურვალე მონაწილეობას ვღებულობდი ამ საქმეში და ძალიან მოწადინებულიც ვიყავი ხელი შემეწყო კოოპერატივ „ქართლი"-სათვის".

მიეცა წინადადება ამხ. რუხაძეს საიჯარო ფული სალაროში შეეტანა, მაგრამ ფული მას არ აღმოუჩნდა. რამოდენიმე ვადის გასვლის შემდეგ 17 ოქტ. „ქართლს" ფული ეშოვა, შეეტანა რკინის გზის სალაროში. მაგრამ ეს მოხდა მეტად დაგვიანებით, უკვე იმ დროს, როდესაც რკინის გზის უფროსს ადგილობრივად კადაეწყვიტა საწყობების რკინის გზის განკარგულებაში დატოვება.

ასეთ განკარგულების მიღებისთანავე საზოგადოება „ქართლი"-ს შემოტანილი თანხა უკანვე დაებრუნა და უარი ეთქვა საწყობების დათმობაზე, რადგან ასეთები აუცილებელი საჭირო აღმოჩნდა თვით რკინის გზისთვის. რაც შეეხება ხელშეკრულებას, ასეთი არა ყოფილა დადებული, რადგან რკინის გზის წარმომადგენელს ხელიც არა ჰქონდა მოწერილი.

მართალია, საქმე რომ არ გაჭიანურებულიყო შეიძლება „ქართლი" სასურველ მიზანს მიაღწევდა, მაგრამ საქმის გაჭიანურება თითქმის ორი თვით „ქართლის" უფულობის ბრალი იყო?

ეკონომიური განყოფილება, რომელიც მეტი სიფრთხილით და სრული მევნებით ეპყრობა კოოპერატიულ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს, აქ არაფერ შუაშია.

ეკონომიური დარგის უფროსის მაგიერ პ. ორჯონიკიძე.

—

გაზ. „კომუნისტი"-ს ა. წ. 8 აგვისტოს თარიღით № 178 მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით „ქუჩიდან კლიტე ადევს და ეზოდან ვქურდობენ", გაცნობებთ, რომ როგორც კვლევა-ძიების ოქმიდან გამომდინარეობს თუმცა თვით კვლევა-ძიების სწორი წარმოება შეუძლებელი შეიქნა, მაგრამ საერთოდ—კი განსაკუთრებული ყურადღება ჩვენის მხრივ მიქცეულია ანალოგიური მოვლენების საბოლოოდ მოსასპობად.

მილიციის უფროსი.

[illegible]

[illegible] ლექცია ანტირელიგიურ თემაზე „სახელმწიფო და რელიგია".

ფაბრიკას აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელშიაც მოიპოვება 500 წიგნამდე: ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე და მრავალი გაზეთები.

ცეკავშირის სტამბა.

სტამბაში ირიცხება 24 მუშა, მათი მატერიალური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მუშებმა მოაწყვეს კვირეული, ლენინგრადის დაზარალებულ მუშების სასარგებლოდ.

სტამბას აკლდა შრიფტი, რომელიც უკვე გამოიწერეს. დაზგები ყველა ახლად შეკეთებულია.

— შრომის ნაყოფიერება დღითიდღე საგრძნობლად იზრდება.

ინფ. ტონკა.

სხვა და სხვა

— **ავადმყოფ მუშების მიღ ბის** წესი. ა.-კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის განყოფილება ამუშავებს წესს ავადმყოფების საღამოობით ამბულატორიებში მიღების შესახებ.

— **საბინაო კომისიაში.** რკ. გზ. უფროსის დადგენილებით რკ. გზ. ყველა უბნებში არსებულ საბინაო კომისიაში შევლენ სანიტარული კომისიიდან წარმომადგენლებიც.

— **ახალი წიგნაკები.** ა.-კ. რკ. გზ დამზღვევ სალარომ გამოსცა ახალი წიგნაკები დაზღვეულთათვის ბავშვის დაბადების, ავადმყოფობისა და სიკვდილის დროს დახმარების გაცემისა.

— **კიდევ ერთი სტიპენდიანტი.** ა.-კ. რკ. გზ. დამზღვევ სალარომ ცენტრალურ პროფსკოლაში მოსკოვში გაგზავნა ერთი სტიპენდიანტი.

— **სოხუმის აგარაკზე.** ა.-კ. დამზღვევი სალარო აწარმოებს მოლაპარაკებას აფხაზეთის საკურორტო სამმართველოსთან, რათა სოხუმის აგარაკზე რკინისგზელებს დაუთმონ ათი ლოგინი.

— **ქართულ ენის უცოდინართა შორის.** ქართულ ენის წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლაში, მ. ს. კ. რაზმიდან სწავლობს 40 კაცი.

— **ხელფასის გადათვალიერება** ა.-კ. რკ. გზელთა პროფკავშირის მიერ დაარსებულმა კომისიამ მოახდინა ხელფასის გადათვალიერება, რომელიც გაერთიანებულმა თათბირმა სამართლიანად იცნო.

ფაბრიკა-ქარხნებში

სპილენძის სატკეცი ქარხანა.

საწარმოო თათბირმა დაადგინა, მიიღოს ზომები ნედლეულის შესაძენათ, რომელიც ეხლა მას მოეპოვება ძლიერ განსაზღვრული რაოდენობით.

ამავე თათბირმა დაადგინა გადასინჯოს სადნობი განყოფილების ლითონის საზიდი ვაგონეტები და მიიღოს ზომები მის გასაუმჯობესებლად.

მეცნიერება და ტექნიკა

რადიო-მინისტრი.

[illegible] ცნობების მიხედვით, რომ კანადის მთავრობამ დანიშნა რადიო-მინისტრი, რადგან ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი ვერ გაუძღვა მუშაობას რადიო-მშენებლობის დარგში, რადგან ეს მუშაობა თანდათან იზრდება.

50.000.000 მსმენელი.

მიმდინარე წლის ზაფხულში მასაჩუსეტში (ამერიკა) გაიმართა ტეხნიკური ინსტიტუტის წლიური კრება. ამ კრებაზე მოახდინეს ე. წ. რელესადგურებით (გადამცემ-სადგურებით) სარგებლობის ფართე ცდები. რადიო-ცნობების გადაცემა ხდებოდა 12.000 ვერსის მანძილზე, ე. ი. ელექტრომაგნიტური ტალღებით დაფარული სივრცე უდრიდა 4 მილიონ ვერსს. გამოიანგარიშეს, რომ 50.000.000 რადიო-მოყვარულს შეეძლო მოესმინა რადიო-ცნობები. კონცერტსა და კრებაზე წარმოთქმულ სიტყვებს ისმენდნენ ინგლისშიც. საინტერესოა ის, რომ, მაგალითად, ხმები ინგლისამდი უფრო ადრე აღწევდნენ, ვიდრე მასაჩუზეტის დარბაზში მსხდომ მსმენელებამდი, რადგან ხმის ტალღები საშინელი სისწრაფით მოძრაობენ.

რადიო და საერთაშორისო ენა.

თუ რა მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ენას, სჩანს შემდეგი ფაქტიდან, რომელსაც იუწყება ამერიკული ჟურნალი „Radio News". დელიში (ინდოეთი) განზრახეს მძლავრი რადიოსადგურის აგება ცნობების გადასაცემად ინდოეთის სხვადასხვა კუთხეებში, მაგრამ როცა პროექტი დეტალურად განიხილეს, ხელი აიღეს მის განხორციელებაზე, რადგან რადიო-სადგური მოქმედება უნდა რაიონში, სადაც მოსახლეობა ლაპარაკობს 170 სხვადასხვა ენაზე. რასაკვირველია, ასეთ პირობებში რადიო-სადგურის აგება უაზრო იქნებოდა.

ენის სწავლა რადიოთი.

ჟენევის (შვეიცარია) რადიო-სადგური ყოველდღე, დანიშნულ საათებში თავის მსმენელებს ასწავლის ესპერანტოს.

ხელოვნური ნავთი.

2 ოქტომბერს პარიზის სოციალურ მუზეუმში გაიხსნა ფრანგ ქიმიკოსების კონგრესი, რომელზედაც გამოჩენილმა მეცნიერებმა გააკეთეს მოხსენებები სხვადასხვა მინერალურ ნივთიერებათა გადაკეთების შესახებ საწვავ ნივთიერებათ.

პროფესორმა როზაკმა გააკეთა მოხსენება ბერტელოს მეთოდების გამოყენების შესახებ სინთეთიური ნავთის მისაღებათ.

ტულუზის უნივერსიტეტის პროფესორის მაიეს მოხსენებამ საყოველთაო გაოცება გამოიწვია. მან აუწყა კონგრესს, რომ სხვადასხვა ცხიმიდან მან მიიღო ხელოვნური ნავთი ყველა იმ თვისებებით, რომლებიც ახასიათებენ ბუნებრივ ნავთს.

ამ აღმოჩენის პრაქტიკული გამოყენება დამოკიდებულია იაფცხიმოვან ნივთიერებათა მიღებაზე და ფართე პერსპექტივებს უხსნის მრეწველობას.

რკინის გზებზე

— **ელექტრო-ელექტრონული სადგურის აგებაზე.** ტფილისში, ადგილობრივ გა მგზავრა სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია.

— **რკინის გზის სამმართველომ** ბათომის და ლენინკანის სათაბრიკო საქარხნო სკოლების მოსაწყობათ გადასდო 30.000 მან.

— **ა.-კ. რკინის გზებზე** პროვიზიონალურ დაავადმყოფების შემოწავლელ კომისიის განკარგულებაში ა.-კ. რკ. გზათა სამმართველომ გადასდო 800 მან.

— **ზვავი.** 8 და 9 ნოემბერს რკვიასალეთის გადასარბენზე ჩამოწვა ზვავი 24 ვერსის მანძილზე.

— **ამჟამად რკ.** სახელოსნოებში ამზადებენ 37 პატარა დრეზინს და 57 პატარა ვაგონებს.

ქრონიკა

— **ამხ. მიხა ცხაკაიას.** ვაცნობებთ, რომ ველისციხის გლეხთა საბჭოს დადგენილებით ვხსნით თქვენი სახელობის საბავშვო ბაღს ოქტომბრის რევოლიუციის შვიდი წლის თავის აღსანიშნავად.

აღმასკ. თავმჯდ. მოწერეთლი.

— **მეჯვრისხევი.** მეჯვრისხევის და მისი რაიონის მშრომელი გლეხობა აღფრთოვანებით ესალმება ოქტომბრის დიდ რევოლიუციის შვიდი წლის თავს. მუდამ მზად ვარ დავიცვათ რევოლიუციის მონაპოვარი.

აღმასკომი.

— **„ცენტროსოიუზი"-ს** გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა [illegible] ა | კავკასიის კოოპერატივთა [illegible] ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო [illegible] და სამეურნეო კოოპერატიულ ცენტრად და გადაეცეს მას „ცენტროსოიუზი"-ს ა | კავკასიის განყოფილების ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის სახით თანხა 750 ათასი მანეთის რაოდენობით.

— **ლენინის კუთხე.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატში მოეწყო ლენინის კუთხე.

— **ტრამვაის დირექცია** ამ ჟამად აწარმოებს მოლაპარაკებას საქ. ტყეთა სამმართველოსთან და სამპ. სახერხ ქარხანასთან, ტრამვაისათვის სატყეო მასალის დასამზადებლათ.

— **წერა-კითხვის უცოდინარობის** მოსასპობათ თბილისში ამ ჟამად გახსნილია 96 პუნქტი, სადაც ირიცხება 2,000 წ.-კ. უცოდინარი.

— **თბილისის მაზრის** ყველა რაიონებში გაიხსნა წ.-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზ. „ძირს უცოდინარობა"-ს განყოფილებები.

— **საგლეხო სესხის** განყოფილება. ფ.-ტელეგრაფის სახ. კომ. განკარგულებით ყველა საფოსტო დაწესებულებებში შეწყდა საგლეხო სესხის ობლიგაციების გაყიდვა.

— **ტრამვაის ვაგონების შეკეთება.** დღემდე საფუძვლიანით შეკეთებულია ტრამვაის 39 მოტორიანი [illegible].

— **ნაძალადევში** დღემდე [illegible] ზაცია გაყვანილია 1,050 [illegible] ძეზე, რომელიც დაჯდა 14,976 მ. სახლებში გაყვანილია 465 საჟ. [illegible] გრძეზე (დაჯდა 2,418 მ.).

— **კბილის კერძო სამკურნალო** კაბინეტების გახსნა შეიძლება მხოლოდ ჯანსახკომის ნებართვით.

— **ტყის მოსაშენებლად.** ქ. აღმასკომის სატყეო სექციას 15 ოქტომბრისათვის დამზადებული ჰქონდა 6 ფუთი და 33 გირ. მცენარეთა თესლი თბ. მიდამოებში ტყის მოსაშენებლად.

— **საშუამავლო ბიურო.** 10 ნოემბრიდან თბილისში გაიხსნა საშუამავლო ბიურო მუშა-ხელის დაქირავების მოსაწესრიგებლათ.

— **შრომის მუზეუმი** გადავიდა შრომის კომისარიატის განკარგულებაში.

— **უმუშევართა წმენდა.** შრომ. ბირჟის დახურვის გამო უმუშევართა წმენდა დასრულებულათ ითვლება.

— **შრომის ბირჟების რეორგანიზაციის შესახებ.** 15 ნოემბერს პროფ. მცირე დარბაზში საქ. შრ. კომისარიატის ინიციატივით გაიმართება თათბირი ადგილობრივ შრომის ორგანოების, პროფკავშირების, პარტიული და სამეურნეო ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

— **ძეხვის ქარხნების მომარაგება.** ცეკავშირი ძეხვის ქარხნის მოსამარაგებლათ შეუდგა ღორების შესყიდვას საბურველის, თელავის და სიღნაღის მაზრებში.

— **აბრეშუმის ძაფის სახვევი ქარხანა.** ცეკავშირმა გადასწყვიტა აღადგინოს ოზურგეთში აბრეშუმის ძაფის სახვევი ქარხანა.

— **შრ. სახ. კომისარიატს განზრახვა აქვს** დეკემბერში მოიწვიოს შრომის ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკანური მესამე თათბირი.

— **ა.-კ. ფ.-ტელეგრაფის** დაწესებულებებთან ამ დღეებში კიდევ იხსნება 100 ახალი შრომის შემნახველ კასა.

— **სისხლის სამართლის** მილიციის მიერ ოქტომბერში აღრიცხულია 270 შემთხვევა. მათ შორის 203 ქურდობა, 11 მკვლელობა, 14 დაჭრა, 4 გაუპატიურება, 8 გამოტყუება, 8 სიყალბე და სხ.

— **10-დან 20 ნოემბრამდე** იწარმოებს საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის იმ წევრთა აღრიცხვა, რომლებიც ირიცხებიან სახ. უნივ რსიტეტში და მუშათა ფაკულტეტებში.

— **ღვინის ბოთლები.** სახალხო მეურნეობის ტრესტმა ქ. არმავირის მინის ქარხნიდან მიიღო ორი ვაგონი ღვინის ბოთლები დიდი და პატარა ზომების.

— **ქვრის წინააღმდეგ.** ზაქათალის მაზრის სოფლებში: კახი, ხალხ ტალის და ალიაბადში [illegible] სტიკათ აკრძალულია საქონლის მიმოსვლა ზაქათალის ოლქსა და სიღნაღის შორის.

— **მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატის** ფერმაში—ყარაიაზში და თვით სოფ. ყარაიაზში 9 ნოემბერს აცრილ იქნა 1,020 სული საქონელი.

— **სენაკის სამაზრო აღმასკომმა** შუამდგომლობა აღძრა [illegible] სახ. კომისარიატის წინაშე [illegible] შის ჰიდროელექტრიული სადგურისათვის 20,000 მან. [illegible] სნის შესახებ.

— **საჰაერო ფოსტა.** გაიხსნა ახალი საჰაერო გზა თბილისი—ენზელი—თეირანს შორის. აგრეთვე ჰაეროპლანებით გადაზიდულ იქნება საფოსტო ამანათები.

— **საკავშირო შრ. სახ. კომისარიატის** დადგენილებით სამეურნეო ორგანიზაციებმა აუცილებლივ უნდა მისცენ სპეც-ტანისამოსი მუშა-მოსამსახურეებს განსაზღვრულ ვადაში.

შემთხვევანი

— **ქურდობა.** 9 ნოემბ. საღამოს 7 საათზე ახალ. ბებუთოვის ქ. № 1 გაქურდეს გრიგოლ ვართანოვის ბინა, წაიღეს 50 მან. ნივთები. ეჭვით შეიპყრეს ნიკოლოზ ჯ. ბაღინიძე.

— 10 ნოემბერს დღისით ნორაშენის ქ. № 5 მორგებული გასაღებით გაქურდეს ამბაკო გოგოლაძის ბინა, წაღებულია 50 მან. ნივთები.

— 9 ნოემბერს ღამით ფანჯრის მინის გატეხის საშუალებით გაქურდეს ტატულ ოვანესოვის ფეხსაცმელების სახელოსნო. (ლევ. პრ. № 86) წაიღეს 83 მან. საქონელი.

— 6 ნოემბერს, ბეთხაინის ქ. № 37, მოქ. ალექსანდრა არესოვის ბინიდან მოიპარეს ფული 40 მანეთით.

— 6 ნოემბერს ძლიერმა ქარმა ბრიგადირის ქ. № 18, სახლს მოგლიჯა სახურავი რომელიც დაეცა იქვე ოსეპაშვილს სახლს და სრულებით დაანგრია. ადამიანთა მსხვერპლი არ არის. დაიღუპა მთელი ავეჯეულობა.

— **თავდასხმა.** 8 ნოემბერს ახალქალაქსა და წალკის რაიონში ბანდიტებმა გაძარცვეს მგზავრი გლეხები.

— **ავაზაკების შეპყრობა.** სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ბაქოდან ჩამოსული ქურდების ბრბო ვანო სამსონოვის და ძმების ლაზარიადის მეთაურობით.

— **ქურდობა.** 6 ნოემბერს, თამარის ქ. № 20 მოქ. ცხვედიანის ბინიდან მოიპარეს 38 მან. სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

— 7 ნოემბ. ახალ-ბებუთოვის ქ. № 9 გაქურდეს პოლო კუპრაშვილის ბინა.

— **ქურდობა.** 10 ნოემბ. პავლოვის ქ. № 1, გაქურდეს მოქ. ანასტასია პროკოფენკოს ბინა. წაღებულია 100 მ. ნივთები. ქურდობა მოეწყობია მას სიძეს გრიგოლ ნინუას, რომელიც მიმალულია.

— **ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის გაქურდვა.** 6 ნოემბერს, ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის კაბინეტიდან, მგზავრის უჯრიდან მოიპარეს 640 მან. 40 კ.

— **სასტუმრო „ნოე"-ში** მოქ. ივანე კორშის ოთახიდან მოიპარეს 70 მან.

— **შეპყრობა** 9 ნოემბ. შეიპყრეს გუგი კენია, რომელსაც ბრალდება ეკატერინე ვეხის (მცხ. ბორჯომის ქ. № 2) ბინიდან 100 მ. ნივთების მოპარვა

— **თავდასხმა.** 4 ნოემბერს ყარაიაზში ბამბის პლანტაციის მახლობლათ მოქ. [illegible] თავის ბინაზე თავს დაესხნენ სამი შეიარაღებული ბოროტმოქმედი და გაძარცვეს პლანტაციის 6 მუშა ქალი და ორი გლეხი და წაიღეს 124 მ. ფული. ბოლო ზომები შეიპყრობილ იქნენ [illegible] რომელიც [illegible] და მათ თანა [illegible].

— **სახლების დანგრევა.** 9 ნოემბერს დიდი ქარის გამო ლენინის რაიონში დაინგრა ორი სახლი. (ავლაბარის ქ. № 14, [illegible] ქ. № 17) სახლს ქვეშ მოჰყვა ერთი [illegible] რომელიც თავი [illegible] ზარალი [illegible] გაზურებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები პროვინციიდან

ოქტომბრის რევოლ. 7 წლის თავი პროვინციაში

თელავში

სამზადისი.

ჯერ ისევ ერთი კვირის წინედ დაიწყო სამზადისი ოქტომბრის რევოლიუციის 2 წლის თავის სადღესასწაულოთ. პარტკომთან შესდგა განსაკუთრებული კომისია ამ დიად დღეების ჩასატარებლათ. შესდგა კრებები, სადაც კეთდებოდა მოხსენებები თვითმპყრობელობის დამხობის და მუშათა კლასის გამარჯვების შესახებ. აგრეთვე სკოლებში უხსნიდნენ მოსწავლეთ მომავალ დღესასწაულის მნიშვნელობას.

6 ნოემბერი.

გათენდა ექვსი ნოემბერი, ქალაქს ამოძრავება დაეტყო, მოაქვთ ურმებით, ზურგით, ხელით მწვანე ფოთლები და ხეულები. ბაზარში შუადღისასვე მუშაობა შესწყდა, რთავენ დარაბებს, ალამაზებენ მუშაბანდებს. დაწესებულებებში-ც ასეთივე ამბავია. ყველა დღესასწაულისთვის ემზადება. პარტკომში გაცხარებული მუშაობაა, პ. მ. მდივანი ამხ. ელისაბედაშვილი განკარგულებებს აძლევს, პ. მ. ამხანაგებს სოფელში წასასვლელად ანაწილებს, დირექტივებს აძლევს მომწყობ კომისიასთან ერთად.

ნაშუადღევის 3 საათზე ყველაფერი მზათ არის, ყველას მიცემული გეგმა შესრულებული აქვს.

მთელი ქალაქი, მთელი ბაზარი მწვანე ფოთლებში და გრეხილებში სცურავს. ქალაქის ცენტრში 25 ოქტომბრის ბაღთან ამართულია დიდი თაღი, რომლის მწვერვალზე მოსჩანს ოქტომბრის რევოლიუციის ბელადის, მსოფლიო მშრომელ კლასის ბელადის ამხ. ლენინის სურათი, რომელიც საღამოთი ელექ. სანათურებიდან მძლავრ შუქსა ჰფენს მთელ მიდამოს.

დაწესებულებანი ერთმანეთს შესჯიბრებიან შენობების მორთვა-მოკაზმულობაში. პარტკომი, ალმასკომი, სამხ. კომისარიატი, პროფ-ბიურო, ყველას აწერია შეუძლებელია; პროფბიუროს შენობის ფასადი მთელი ალ ყუმაშია გახვეული, აივანზე ალქართულ ესტრადაზე მოსჩანს კაცობრიობის კეთილდღეობის დიდებულ მოციქულის ამხ. ილიჩის ბიუსტი.

ყველას ყურადღებას იპყრობს ალმასკომის სტამბა, სადაც მიტინგი უნდა გაიმართოს. აქ ნამდვილი სცენაა გამართული.

7 ოქტომბერი.

დილით ცოტა მოღრუბლულია, წვიმა სცრის, მაგრამ ეს არავის უშლის და მთელი ქალაქი გარედ იფინება. მიტინგი დანიშნულია პროფბიუროს კლუბის წინ მოედანზე. აქ დილიდანვე თავს იყრის ზღვა ხალხი. მოდიან მწყობრად ყველა სასწავლებლებიდან მოსწავლენი, მასწავლებლებითურთ, წითელი ჯარის და ტერიტორ. დივიზიის ნაწილები, პროფკავშირის წევრნი, ყველა დაწესებულება, ყველა დარგის მუშები. მოვიდნენ მაყრულით ახლო-მახლო სოფლის გლეხები. მთელი მოედანი გაივსო, ფოტოგრაფები მახლობელ სახლებიდან სურათებს იღებენ. სულ ბოლოს მწყობრი სიმღერით მოვიდნენ კომუნარები. მოედანი მზათ არის მიტინგისათვის, ჰაერში ფრიალებენ ურიცხვი დროშები, ჯარების სარდალი ელოდება აღლუმის მიმღებთ.

სწორედ 12 საათზე ორმა სამხედრო მუსიკამ დაუკრა შესახვედრი. გაისმა წითელ კომანდირის ხმა „სმენა“. მოვიდნენ პარტკომის პ. მ. მდივანი ამხ. ელისაბედაშვილი, ალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ქურციკაშვილი და ჯარის პოლ. კომისარი ამხ. აირაპეტოვი. ამათ ჩამოუარეს ყველა მიტინგებზე მყოფთ ცალ-ცალკე და აძლევდნენ სალამს.

„ლენინი ცოცხალია“

პრ. ბიუროს შენობის აივანი, საიდანაც უნდა წარმოითქვას სიტყვები, მორთულია, შუაში თეთრი ვარდის ასოებით აწერია „ლენინი ცოცხალია“. მას იხსენიებს ყველა ორატორი, ამ გენიოსის სიტყვებს უდებენ სარჩულად თავიანთ სიტყვებში. პარტკომის პ. მ. მდივანი ამხ. ელისაბედაშვილი ამბობს პირველ სიტყვას, რომელიც შეეხება დღევანდელ დღესასწაულს. შემდეგ გამოდის ტრიბუნაზე ალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ქურციკაშვილი, მას შემდეგ ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელი. უცბათ ესტრადაზე გამოჩნდება და სიტყვას ამბობს ძველი რევოლიუციონერი ამხ. ლადო დუმბაძე, რომელიც ეს, ეს არის მოსულა თბილისიდან განსაკუთრებით ამ დღესასწაულისთვის.

თავდება სიტყვები. მთელი მიტინგი მუსიკით და სიმღერებით მიემართება ქალაქის განაპირას უმთავრესი ქუჩით და ბრუნდება უკან ამავე ადგილას.

წითელარმიელთა ფიცი.

თელავში მდგომ წითელარმიელთ გაუკეთებიათ აქ ირგვლივ მჭკრივი შუაში რევოლიუციისთვის ბრძოლაში და ტყვიისგან დაფლეთილ წითელ დროშასთან სდგანან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელნი. მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს. იწყება ფიცის მიღება. ამხ. ლადო დუმბაძე პირველად წითელარმიელთ ეუბნება სიტყვას მათი მოვალეობის და ფიცის ასრულებაზე და შემდეგ კითხულობს ალთქმის ტექსტს, რომელსაც წითელარმიელები იმეორებენ. ალთქმის მიღებას ჯარს ულოცავენ ამხ. ელისაბედაშვილი, პოლკის უფროსი ერისთავი, ამხ. აირაპეტოვი და სხვ.

ამით თავდება მიტინგი. უკვე 4 საათია და ხალხი ნელ-ნელა იშლება.

ვან.

ამხ. თ. ხიმშიაშვილი ლანჩხუთში

კვირას, 2 ნოემბერს ლანჩხუთს ეწვია აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ხიმშიაშვილი. რით არის ღირსშესანიშნავი ამხანაგის ლანჩხუთში ყოფნა? ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ მეზობელ მოძმე აჭარლებთან უხსოვარ დროიდგან წინანდელი მთავრობების მეოხებით დაშორებული ვიყავით და ამ ორ მოძმე ხალხს შორის იყო მუდამ მხოლოდ მტრობა, შური და სიძულვილი. ასეული წლების განმავლობაში ისტორიამ ამ ორ მოძმე ხალხის შესახებ გარდა სისხლის ღვრისა და ერთი მეორის აწიოკებისა არაფერი არ იცის. დღეს კი საბჭოთა ხელისუფლების გონიერული შემოქმედებითი მუშაობით ამ ორ მეზობელ ხალხს შორის დამყარებულია მტკიცე და ურყევი მეგობრული კავშირი და დამოკიდებულება. ეს მეგობრული კავშირი მომავალში კიდევ უფრო გაიფურჩქნება,—ამის თავდები არის აჭარის ფუხარას და გურიის გლეხობას მისწრაფება და სურვილი მეგობრობისაკენ. ამხ. ხიმშიაშვილმა ინახულა დაწესებულებები და აგრეთვე ყველა წამოწყებანი საალმშენებლო დარგში, სახელდობრ ლანჩხუთის სახალხო სახლი, აქვე შესდგა სახელდახელოდ მიტინგი, რომელსაც მიუხედავად იმისა რომ დღეს სტველობა არის და გლეხები ყანებში არიან, ხალხი ბლომად დაესწრო. იშვიათ სტუმარს. მიესალმენ რაიკომის მდივანი მ. კილაძე და რაიალმასკომის თავმჯდომარე კ. ცინცაძე, რომელთაც უსურვეს ამხანაგს გამარჯვება აჭარის ფუხარას და გურიის გლეხების საკეთილდღეოდ. ამხ. ხიმშიაშვილმაც ილაპარაკა დღევანდელ საჭირბოროტო კითხვების შესახებ, რომელიც აწუხებს ჩვენ გლეხობას და მიუთითა იმ ღონისძიებებზედ, რაიც დასახული აქვს საბჭოთა მთავრობას გააკეთოს დღეს გლეხების სასარგებლოდ. მისმა სიტყვამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზედ და ყველა აღფრთოვანებით უსმენდა მას. მიტინგი დიდი ხალისით ჩატარდა და დამსწრე საზოგადოება ძლიერ ნასიამოვნები დარჩა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამიერიდან ცენტრის გადაწყვეტილება „მეტი ყურადღება სოფლებს“ შეისხამს ხორცს და ჩვენ საშუალება გვექნება მოვისმინოთ მოხსენებები უფრო ხშირად ჩვენ ჩამორჩენილ სოფლებშიაც.

ლ. კუკულაძე.

სამტრედია

დიდ მზადებაში იყვნენ სამტრედიის მშრომელი მასები ოქტომბრის დღესასწაულის წინა დღეებში, ყველას სიცოცხლე და ალტაცება ეტყობოდა, მთელი ქალაქი წითელი დროშებით და მწვანეულობით მოირთო.

7 ნოემბერს თითქოს ამინდიც შეჰხარისო, საუცხოვო დარი იდგა. ქალაქის სხვადასხვა კუთხეებში თავს იყრიან მუშები და გლეხები.

ცხრაწლიან შრომის სკოლასთან აუარებელ მოწაფეობას მოუყრია თავი, ისინი რიგ-რიგობით გამოდიან სკოლის ეზოდან წითელი დროშებით ხელში.

იხსნება საზეიმო მიტინგი, უკრავს მუსიკა, ხორო ასრულებს რევოლიუციონურ ჰიმნს.

მიტინგის შემდეგ ქალაქის ქუჩებს ავსებენ მუშებისა და გლეხების მწყობრი რიგები.

დაღამდა, მაგრამ მხიარული ჟრიამული კიდევ დიდხანს არ შეწყვეტილა.

ახალგაზრდა მუშა მ. ყენია.

ქ. ლანჩხუთი

არავის ახსოვს ლანჩხუთში ასეთი მრავალრიცხოვანი მიტინგი და სადღესასწაულოთ მორთვა.

ქალაქი ორი დღით ადრე მოეწყო საზეიმოთ: პატარძალივით გამოეწყო ცოცხალ ყვავილებში და წითელი დროშებით გამოაფინა უკვდავ მარქსის ლენინის და ყველა მასწავლებლების, ბელადების სურათები.

აუარებელი გლეხები, მუშა-მოსამსახურეები და მოწაფეები მოაწყდნენ „ოქტომბრის რევოლიუციის მოედანს“.

მიტინგი გახსნა ძველმა რევოლიუციონერმა, ალმასკომის თავმჯდომარემ ამხ კ. ცინცაძემ. ის მიესალმა მიტინგს და მიულოცა მუშურ-გლეხური რევოლიუციის არსებობის 7 წლის თავი. გლეხები ტაშის ცემით აწყვეტინებდნენ მას სიტყვას.

ისმოდა „გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას, გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს“.

შემდეგ ილაპარაკა რაიკომის მდივანმა ამხ. მ. კილაძემ. მან დაახასიათა ოქტომბრის რევოლიუციის დიდი როლი მსოფლიო მუშათა მოძრაობაში. შემდეგ ილაპარაკეს ვ. ბარამიძემ და კომკავშირის მდივანმა გ. ცინცაძემ. საღამოს გლეხკომმა მოაწყო უფასოთ სურათების ჩვენება.

ჯუგა.

პროვინციის მოამბე

— **ს. წინანდალში** (თელ. მაზრა) გამოიყვანეს წყალი, რომელიც 7 ადგილას არის დაყენებული. აქამდე სოფელს წყალი არა ჰქონდა და დიდ გაჭირვებას განიცდიდა.

ამავე სოფელში შენდება სახალხო სახლი, სადაც მოთავსებული იქნება აგრეთვე სოფლის 2 წლ. ტექნიკუმი.

— **თელავის ალმასკომის** საავადმყოფოში გააფართოვეს ქირურგიული განყოფილება, ახალი იარაღების შეძენით. იარაღები უკვე მიიღეს.

— **ტყვიავის გლეხკომი.** ტყვიავის (გორის მაზრა) სარაიონო გლეხკომმა დაარსა საფერშლო სადგური და საკუთარი აფთიაქი.

— **გორის სამაზრო გლეხკომმა**, მაზრაში არსებულ გლეხკომების მუშაობის სახელმძღვანელოთ დანიშნა 11 ინსტრუქტორი.

— **საქონლის ჭირის მოსპობა.** რაჭაში ამ ჟამად საქონლის ჭირი სრულებით მოსპობილია.

— **თელავის გამშვენიერება.** თელავის ალმასკომმა წინადადება მისცა ყველა სახლის პატრონებს შეაკეთონ თავიანთი სახლები ადგილობრივ მეურნეობის განყ. ტექნიკურ ხელმძღვანელობით.

— **ტყეების დაცვა.** რაჭის სამაზრო ალმასკომმა დაადგინა გაადიდოს ტყის მცველთა შტატი ტყეების სათანადოთ დაცვის მიზნით.

— **აჭარაში** ყველა სამაზრო ცენტრებში ალმასკომებთან მოეწყო შრომის განყოფილებები და დამხმარე სალაროს პუნქტები.

— **სკოლის შეკეთება.** სენაკის სამაზრო ალმასკომმა გადასდო ორასი მანეთი ადგილობრივ ცხრაწლიან სკოლის შენობის შესაკეთებლად.

— **მუშათა უბანი.** ბორჩალოს ალმასკომის დადგენილებით ქ. ლიუქსემბურგში გაშენებული იქნება მუშათა უბანი თვითმშრომელთა საზოგადოების წევრებისათვის.

— **სენაკის ალმასკომმა** შუამდგომლობა აღძრა საქ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, აბაშის ჰიდრო-ელსადგურის საჭიროებისათვის ადგილობრივ ტყეში ორი ათასი ძირი ხის დამზადების შესახებ უბაჟოთ.

კლუბის გახსნა სოფ. სვირში

(შორაპნის მაზრა)

ა. წ. 30 ოქტომბერს სვირის უჯრედმა გახსნა იოანე ნათლის მცემლის სახელობის ეკლესიაში მენშევიკური ავანტიურისტული ჯალათების მიერ მოკლული ამხ. შალვა სოფრომაძის სახელობის კლუბი. კლუბის გახსნაზე დასასწრებათ ქ. ჭიათურიდან წავიდა ს. სვერში კომკავშირის დრამატიული წრე და ჭიათურის ვაგონის მტვირთველი მუშების ორკესტრი. საღამოს 7 საათზე გაიხსნა საზეიმო კრება. კრებას დაესწრო მრავალრიცხოვანი მშრომელი გლეხობა. კრებას ესალმებიან ა. ლ. კ. კ. ჭიათურის ორგანიზაციის სახელით ამხ. ამხ. ა. მახათაძე და ა. ბრეგვაძე.

ადგილობრივი გლეხების სახელით მისასალმებელი სიტყვა სთქვა მოქ. კ. ცუცქირიძემ. მშრომელი ქალების სახელით კრებას მიესალმა ადგილობრივი მუშა ქალი ფ. ცუცქერიძისა. მისასალმებელი სიტყვების შემდეგ წარმოდგენილ იქნა პიესა „სულის მამა“. წარმოდგენის შემდეგ შესრულებული იქნა ინტერნაციონალი.

ქ. ღ.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

საზეიმო წარმოდგენა.

წარმოდგენის მთელი პროგრამა შეფარდებული იყო ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავის დღესასწაულისათვის.

პირველ მოქმედებაში დადგმული იყო რიმსკი-კორსაკოვის ოპერის „ოქროს მამალი“-ს პირველი აქტი. ამ ოპერის დადგმა თბილისის, როგორც კოლორიტის და ზღაპრული სტილის, ისე შესრულების მხრივაც საუცხოვო იყო. ისეცკი-მეფე დოდონი, დემიანენკო-სარდალი პოლკანი, დობრჟანსკაია-ამენფრა.—ეს ნამდვილი მხატვრული მინიატიურებია. კავსაძე კი ვარსკვლავთმრიცხველის პარტიაში ისეთ მხატვრულ და რეალურ სახეს იძლევა, რომ ის ამ პარტიის საუკეთესო შემსრულებლად უნდა ჩაითვალოს.

კარგია სხვა პერსონაჟებიც.

სიმფონიურ განყოფილებაში შევიდა კომპოზიტორ ჩუკუზოვის ორი ნაწარმოები, რომლებიც დაწერილია რევოლიუციონურ თემებზე.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა პოემამ—„1917 წელი“. აქ რამოდენიმე ლამაზი თემაა.

უვერტიურა „საბჭოების ხელისუფლებისათვის“ უფრო მკრთალი ნაწარმოებია. ორკესტრს მეთაურობდა თვითონ ავტორი.

მოსინმა შეასრულა სიმღერა „რევოლიუციისა და სახალხო საქმისათვის მებრძოლის გარდაცვალების გამო“, რომელიც მეტად უყვარდა რევოლიუციის ბელადს—ლენინს.

ბოგოლეპოვამ საუცხოვოთ შეასრულა ლოცვა ოპერა „ტოსკა“-დან; ამ ლოცვაში ჩართულია ახალი ტექსტი. მომღერალმა მოსინმა შეასრულა არია იმავე ოპერიდან ახალი ინტერპრეტაციით.

მესამე განყოფილებაში იყო რევოლიუციონური ბალეტი.

მოცეკვავეთაგან აღსანიშნავი არიან ჭაბუკიანი, ფეოდოროვა, ლეონოვა, სერგეევი, გულულოვი, ბაბუდაროვი. სუსტია გლეხის როლში დმიტრიევი; ის ყალბ პოზებს მიმართავს და შორდება სინამდვილეს.

პ. ბ.

— **კინო-გაზეთი.** 15 ნოემბრიდან სახ. კინო-მრეწველობა გამოსცემს კინო-გაზეთს, „კინო-აღმოსავლეთი“.

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს, წარმოდგენილი იქნება სომხურ ენაზე „ღმერთების დაღუპვა“.

— **ცირკი.** დღეს გაიმართება გასტროლი მსოფლიოთ ცნობილ ტრიუკისტის ბახმანის.

სპორტი

ფიზკულტურის საბჭოში

ფეხბურთელთა შეჯიბრება.

ოთხშაბათს, 12 ნოემბერს, დღის 3 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება სერგო ორჯონიკიძის სახელობის კომანდის და სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კომანდის შეჯიბრება; ეს მეორე შეჯიბრებაა მათ შორის, რადგან პირველ მატჩს რეალური ნაყოფი არ გამოუღია.

ფიზკულტურის პირველი ყრილობა.

[illegible] სრულიად საქართველოს პირველი ყრილობის მოსაწვევად.

ფიზკულტურის ცენტრალური სკოლა

კომუნისტ-ინსტრუქტორების სათანადო კადრის მომზადების მიზნით, ფ. კ. უ. ს. თბილისში ხსნის ფიზკულტურის ცენტრალურ სკოლას ამიერ-კავკასიის მასშტაბით. სკოლა განზრახულია 150 კაცისათვის.

ფიზკულტურის სავალდებულო გაკვეთილები.

[illegible] ლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ყველა სკოლებში შემოღებული იქნეს ფიზკულტურის სავალდებულო გაკვეთილები ანდა საღამოს მაცადინეობა.

ცურვის სკოლა.

ფ. კ. უ. ს. დაადგინა ბათომში გახსნას ცურვის ცენტრალური სკოლა, რომელიც განზრახული იქნება 50 კაცისათვის.

კონტროლი ფიზკულტურაზე.

საქართველოს ფ. კ. უ. ს. სამეცნიერო-სამოსწავლო კომიტეტს დაავალა ფაქტიური კონტროლის გაწევა ფიზკულტურისათვის მთელს რესპუბლიკაში.

ახალი სამეცნიერო-საცდელი კაბინეტი.

საქართველოს ფ. კ. უ. ს. კურსანტების მე-21 სკოლასთან გახსნა სამეცნიერო საცდელი კაბინეტი.

საქართველოს ფ. კ. უ. ს. გამომცემლობა.

სამეცნიერო-სამოსწავლო კომიტეტი შეუდგა ფიზიკური კულტურის შესახებ შედგენილი ნაშრომების ბეჭდვას ქართულ და რუსულ ენებზე.

საქართველოს ფ. კ. უ. ს. ახალი პრეზიდიუმი.

არჩეულია საქართველოს ფიზკულტურის უმაღლ. საბჭოს ახალი პრეზიდიუმი, რომელშიაც შევიდნენ: ამხ. ამხ. ე. სტურუა თავმჯდომარე), აბაზაძე (მდივანი), გერასიმოვი, პიტერსკი, გაბარაშვილი, კრეიტანი და მელნიკოვი.

სასპორტო მაღაზია.

საქართველოს ფ. კ. უ. ს თბილისში ხსნის ცენტრალურ სასპორტო მაღაზიას და სახელოსნოს.

წერილი რედაქციის მიმართ

გაზ. „კომუნისტის“ რედაქციას.

გთხოვთ თქვენს გაზეთში დაუთმოთ ადგილი შემდეგს ჩემს განცხადებას: მთელი ჩემი შეგნებით უერთდები საკავშირო ექიმთა ყრილობის რეზოლიუციას, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთ „კომუნისტი“-ს ა. წ. 22 ოქტომბრის ნომერში, და მზადა ვარ აქტიური მონაწილეობა მივიღო ახალ საზოგადოების მშენებლობაში და წესწყობილების განმტკიცებაში.

ექიმი ა. ა. ბალაშვილი.

თელავი. 2.ნოემბ. 1924 წ.

ჩვენი ფოსტა

— **ხად. მოლითის რკ. გზ. პროფკავშირის რწმუნებულს.** ფულის მიუღებლობის გამო გაზეთი არ გეგზავნებათ.

კანტორა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება** წინადადებას აძლევს ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს 12 ნოემბერს გამოცხადდნენ ამხ. საკოევთან.

1) ათაძე სერგო, 2) ბახტაძე იპოლიტე, 3) რაზმაძე აპოლონ, 4) ქანქიშვილი გ., 5) მაჭავარიანი ა., 6) ბერძენიშვილი, 7) პავლინოვი ვასილი, 8) ხახარიშვილი სერგი, 9) ნა[illegible] კონსტანტინე და 10) [illegible] ვაგან.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

ამნისტიის შემფარდებელი კომისიების შედგენის შესახებ.

თანახმად ა/წ. ნოემბრის 6 № 115 დადგენილების მე-8 მუხლისა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

ამნისტიის შესახებ დადგენილების შესაფარდებლად რესპუბლიკის პროკურორის ინსტრუქციის წესისამებრ შედგენილ იქნეს კომისიები:

1. **ქ. თბილისში** შემდეგი შედგენილობით: **ამხ. ე. სტურუა** (თავმჯდომარე), **ნ. ოკუჯავა, ლ. ბერია, ა. ურუშაძე, ლორთქიფანიძე** და **მახსულია.**

2. **ქ. ქუთაისში—ამხ. ლორთქიფანიძე** (თავმჯდომარე), **კუჩუხიძე, რთველაძე, გაბუნია** და **თათეიშვილი.**

3. მ ა ზ რ ა შ ი—ალმასკომის თავმჯდომარე (თავმჯდომარე). პოლიტბიუროს უფროსი და სახალხო მოსამართლე.

4. ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს მოკავშირე რესპუბლიკაში, ა ჭ ა რ ი ს ავტონომიურ რესპუბლიკაში და ს ა მ ხ რ ე თ ო ს ე თ ი ს ავტონომიურ ოლქში კომისიები შესდგება სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისამებრ შემდეგი შედგენილებით: ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ერთი წევრი, საგანგებო კომისიის თავმჯდომარე და იუსტიციის სახალხო კომისარი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—მ. ც ხ ა კ ა ი ა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—ს. თ ო დ რ ი ა.

1924 წ. ნოემბრის 10.

თბილისი—სასახლე.

ინსტრუქცია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამა წლის ნოემბრის 6 თარიღით და 115 ნომრით გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამა წლის ნოემბრის 6 თარიღით და 115 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-9 მუხლის აღსასრულებლად, წინადადებას ვაძლევ ყველა სათანადო დაწესებულებას იხელმძღვანელოს შემდეგით:

1. დადგენილების 1 და 2 მუხ. შეფარდება დაეკისრება განსაკუთრებულ კომისიებს, რომელნიც დადგენილების მე-8 მუხლის წესით დაარსდებიან ქ. თბილისსა და ქუთაისში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამნისტიის შეფარდება აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში დაეკისრება კომისიებს, რომელთაც, თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისა, დააარსებენ სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები.

2. ამნისტიის შეფარდება იმ პირთათვის, რომელთაც მსჯავრი უკვე დაედო საერთო სისხლის სამართლის ქმედობისათვის (3, 5 და 7 მუხ.) სასამართლო და საადმინისტრაციო დაწესებულებათა კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, დაეკისრებათ იმავე კომისიებს, აგრეთვე სამაზრო კომისიებს, რომელნიც დაარსდებიან დადგენილების მე-8 მუხლისამებრ: ამასთანავე სამაზრო კომისიები ამნისტიას შეუფარდებენ მხოლოდ იმას, ვისაც მსჯავრი დაადო სახალხო სასამართლომ ან ადგილობრივმა ადმინისტრატიულმა ორგანომ.

3. ამნისტიის შეფარდება საკასაციო ინსტანციაში წარმოებული საქმისათვის დაეკისრება ამავე საკასაციო ინსტანციას.

4. ამნისტიის შეფარდება იმ პირთათვის რომელნიც სავალდებულო დადგენილების დარღვევისთვის ადმინისტრატიული წესით დადებულ სასჯელს იხდიან, დაეკისრება, სამაზრო პროკურორის მეთვალყურეობით, ადგილობრივ (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებს. მათვე დაევალებათ მოსპონ ყველა ის საქმე, რაც აღძრულია სავალდებულო დადგენილების დარღვევის გამო, უკეთუ ეს დანაშაული ჩადენილია ამა წლის ნოემბრის 7-მდე, ხოლო დამნაშავეს სასჯელი ჯერ არ მოუხდია.

5. იმ საქმის მოსპობა, რაც ჯერ კიდევ მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების სტადიაშია (დადგენილების მე-4 მუხ.), დაეკისრება სათანადო ოლქის პროკურორს, რომელიც საქმეს მოსპობს სისხლ. სამ. საპრ. კოდ. 4. 04 და 222 მუხლისამებრ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. იმ საქმეს, რაც სასამართლოს წარმოებაშია, ხოლო ჯერ განხილული არ არის, ამნისტიის შესახებ დადგენილების მე-4 მუხლი შეეფარდება სათანადო სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის დადგენილებით.

6. დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნული ქონებრივი გადასახდელი, რომელზედაც ამნისტია არ გავრცელდება, [illegible] უკანონოდ შეძენილის ჩამორთმევას, ფულ[illegible] საურავს, ფულად ჯარიმას, რომელიც უნ[illegible] სასარგებლოდ, და სხვ. კანონიერ გადასახადს, რა[illegible] სისხლის სამართლის სა[illegible] განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლებით.

7. დადგენილება ამნისტიის შესახებ შეეფარდება მხოლოდ იმ სამხედრო მოსამსახურეს, რომლის საქმეც განხილულია ან უნდა განხილულ იქნეს საერთო სასამართლოში (და არა სამხედრო ტრიბუნალში).

8. ამა წლის ნოემბრის 6 თარიღით და 115 ნომრით გამოცემული დადგენილება შეეფარდება დამნაშავეს მიუხედავად იმისა რომ მას შეეფარდა წინანდელი ამნისტია.

9. უკეთუ, თანახმად დადგენილებისა ამნისტიის შესახებ, მოისპობა სისხლის სამართლის ისეთი საქმე, რომელიც დაკავშირებულია სამოქალაქო სარჩელთან, ამ სარჩელს განიხილავს სამოქალაქო სასამართლო, სადაც უნდა გადიგზავნოს საქმე ამნისტიის შეფარდების შემდეგ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამა ინსტრუქციის მე-9 მუხლის წესით განხილულ საქმეს სასამართლო ბაჟი არ გადახდება.

10. ამნისტიის შეფარდება უნდა დამთავრებულ იქნეს ერთი თვის განმავლობაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

11. ამნისტიის შემფარდებელმა კომისიამ (ამა ინსტრუქციის 1 და 2 მუხ.), აგრეთვე სათანადო ოლქის პროკურორმა და სასამართლომ იმ პირთა სია, რომელთაც ამნისტია შეეფარდა, უნდა წარუდგინოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

12. ყველა საჩივარი იმაზე, რომ ამნისტია სწორე არ იყო შეფარდებული, უნდა წარედგინოს რესპუბლიკის პროკურორს.

რესპუბლიკის პროკურორი ი. ვ ა რ ძ ი ე ლ ი.

1924 წ. ნოემბრის 8

ქ. თბილისი

ქართველ არტისტთა კორპორაცია „დურუჯი“ მწუხარებით აუწყებს ქართულ საზოგადოებას რესპუბლიკის სახალხო არტისტის

ვანო სარაჯიშვილის

უდროვოდ გარდაცვალებას. ნ. 205 0—1

ღრმად დამწუხრებული მშობლები: მამა იაკინთე—დედა დესპინე შევარდნაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი ქალიშვილი

ელენე

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს ექვს საათზე, საკუთარ ბინაზე რუსთაველის ქუჩა № 32. გამოსვენების დღეთ დანიშნულია ხუთშაბათი 13 ნოემბერი ნაშუადღევის 3 საათზე—დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. ფ. 1—1

ღრმათ დამწუხრებულნი: შვილები ალექსანდრა მიხეილის ასული ლომაძისა და ილიკო მიხეილის ძე შარაშიძე, რძლები ნინო მელიტონის ასული შარაშიძისა და ნინო იესეს ასული ლომაძისა, სიძე გიორგი ესტატეს ძე ლომაძე, შვილიშვილები: შოთა გიორგის ძე ლომაძე, გივი, ენრი, ცოტნე და ვახტანგ ილიას ძე შარაშიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელ

ესმა ივანე ჯაყელის ასულის შარაშიძისას

უეცრად გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 13 ნოემბერს, სოფელ საყვავისტყეს. 2697 1—1

წყალსადენის
მიღების გასაყვან ქუჩაში თხრილების გათხრის საქმის
იჯარით გასაცემათ
დანიშნულია შეჯიბრება

ა. წ. 1 ნოემბერს ნაშუადღევის 1 საათზე წყალსად. დირექტორის კაბინეტში ოთახი № 65. პირობებთან გაცნობა შეიძლება წყ. კანცელარიაში ყოველ დღე 12 საათიდან 2 საათამდე.

კომუნალურ განყოფ. გამგე ასრიევი
წყალსად. მთავ. ინჟინერი დიასამიძე
კანც. გამგე ძურჯიშვილი 8—3 ნის. 151

ლენინგრადის სახელმწიფო ელექტრო-მანქანის საამშენებლო
ტრესტი
თბილისი, სოლოლაკის ქ. № 2, ტელეფონი 8—20.
„ელმაშტრესტი“
ყველაფერი ელექტროფიკაციისათვის

სოფლად, ქალაქში რკინის გზებზე, სამრეწველო წარმოებებში. პროექტები ხარჯთ-აღრიცხვა, მოწყობილია, ტექნიკ ზედამხედველობა.

კონსულტაცია

სპეციალურად: გამოკვლევები, პროექტები, ჰიდრო-ელექტრონის სადგურების მოწყობა. ნ. 90 6—2

ვღებულობ დაკვეთებს

ქალების, ბავშვების, მამაკაცების ტანსაცმლების და საცვლებს შესაკერად, გადასაკეთებლად და შესაკეთებლად.

ელისაბედის ქ. № 68. ბინა № 2. 2694 1—1

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი

გულის, ფილტვების ავადმყოფობა და ტუბერკულიოზი. მალიარიის სპეციალური ექიმობა 914 [illegible] ფილტვების, გულის და სხვა ორგანოების განსჯრეტა, ს[illegible] გადაღება და ექიმობა

რენტგენის სხივებით

მიღება ყოველდღე 9—1 საათამდის [illegible] ვის ქუჩა № 23. ქ. 2507 13—3

10 მანეთად [illegible]
მათემატიკის
(არითმეტ., ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია) და რუსული ენის გაკვეთილებს საშუალო სასწავლებლის პროგრამით.
პლეხანოვის ქ. № 25 შესავალი ალექსის ქ. № 5 ნახვა 2—6 ს.
4—2 ნ. № 202

ექიმი
მუხმანი
სიფილისის, ვენერიული და კანის ავადმყოფობის
მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე
ელისაბედის ქ. № 89 ქსენიის ქუჩის პირდაპირ № 2672—25—2

მედიცინის დოქტ.
ა. ა. მონს[illegible]
მოზრდილების და ბავშვების შინაგან და ნერვიული სისტემის სნეულებათა მკურნალობა
ელექტრო-სინათლით ■ ■ სამკურნალო კაბინეტი
მიღება: დილით 10—12 საათ. საღამოთი 5—7 საათ.
(გარდა კვირა დღისა) პლეხანოვის პრ. (ყოფ. მიხეილოვის) № 111 ბ. № 2
ქ. № 2531—29—13

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა
ეკონომიური სამსახური
აცხადებს
რომ ქალაქ: თბილისის, ერევნის, თელავის, ბაქოს, ბათუმის, ევლახის და მოსკოვის განჯის ზუგდიდის.
კომერც. სააგენტოებში და ქალაქის სადგურებში
სწარმოებს
შემდეგი ოპერაციები:

1. სამგზავრო ბილეთების გაყიდვა ყველა მიმართულებებით (შინ მიტანით).
2. სასაწყობო ოპერაციები.
3. ყველა საკომერციო ოპერაციები
4. სესხის გაცემა საქონლის გირავნობით. როგორც სამიმოსვლო სადგურებზე, ისე საწყობებში.
5. ტვირთის მიღება; გაგზავნა და გაცემა.
6. ტვირთის გადაზიდვა შარაგზით.
7. საქონლის ყიდვა-გაყიდვა სარკინიგზო მუშტრების დავალებით.
8. საბაჟო, საქციზო და სხვა დავალებათა შესრულება

ყველა ზემოხსენებული სატრანსპორტო ოპერაციები სწარმოებს
უმცირესი საკომისიო ფასებით
საკომისიო სააგენტოები და ქალაქის სადგურები დიდ დახმარებას უწევენ მუშტრებს სარკინიგზო სატრანსპორტო საქმეებში.
1—1 № 206 ნის.

დაკარგა სასურსათო ბილეთი და პირადობის მოწმობა გაცემული შორაპნის სამაზრო სასურსათო საწყობის ზედამხედველისაგან შალვა ტოლორაიას [illegible] ძის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2688 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა № 407 მასთან აღრიცხვის ფურცელი № 231 დომენტი თომასძე კუფიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2687 1—1

დაკარგა პარტიული წიგნაკი № 1163 მარიამ მერიჯანაშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ 2690 1—1

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის მოწმობა № 930 გაცემული 1 უბნის კომისარიატიდან ხარიტონ ლუარსაბისძე რუსიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2689 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა მოცემული რკ. გზ. ცენტრო-ტრამოტიდან. № 13 დათიკო ბესარიონისძე წერეთლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2691 1—1

დაკარგა მოცემული 1-ლი ქართული ლეგიონიდან უვადო შვებულების მოწმობა № 3686 დათიკო ჯიქიძეს სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2695 1—1

დაკარგა დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 10466 ღარიბოვის ივანეს სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2693 1—1.

დაკარგა საწევრო წიგნაკი სამთო-მადნო პროფკავშირისაგან გაცემული ინჟინერ დავით გიორგისძე ჯორჯაძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2692 1—1

დაკარგა სახალხო კავშირის წიგნაკი № 91674 და დამზღვევი კასის წიგნაკი № 2467 მიხაი[illegible] ხაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2699 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა № 4009 მოცემული ძირ[illegible] ქის თემის საბჭოს მიერ და აგრეთვე [illegible] ხედრო აღრიცხვის მოწმობა № 81 მ[illegible] ძული შორაპნის სამხედრო უფროსის მი[illegible] არჩილ ებანოიძის სახელზე. ჩაითვალოს [illegible] უქმებულათ. 2686 1—1

დაკარგა დავით მთვარეულიშ[illegible] ჩაკუნაშვილის [illegible] შედგენილი შემდეგი საბუთები: ოსმალეთ[illegible] ვინტოვკის ტაოების ნებართვა, მოცემული საქართველოს საგანგებო კომისიის [illegible] საქართველოს მეცხვარეთა ამხ. „მწყ[illegible] [illegible] ის წიგნაკი და 18 ფუთი მატყლის „იწყემსი“ ამხანაგობისადმი ჩაბარების ქვითარი, ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2698 1—1